პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР
18 იანვარი ხუთშაბათი
1973
ფასი 2 კაპ.
გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან
№ 15 (15532)

კომუნისტის პირადი მაგალითი

„ვკისრულობთ რა მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებს, მოვუწოდებთ სამშენებლო ბრიგადების ყველა კოლექტივს ფართოდ გამოიყენოს სამეურნეო ანგარიშის ახალი ფორმა მშენებლობაში, უფრო სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით გადასცეს საექსპლოატაციოდ ახალი შენობები და ნაგებობანი, გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება 1973 წლის, ხუთწლედის გადამწყვეტი წლის, დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის“.

ეს არის მოსკოველ მშენებელთა ნიკოლოზ ზლობინის ბრიგადის წერილის სტრიქონები, წერილისა, რომელიც სხვა მოწინავე კოლექტივების ვალდებულებებთან ერთად მთელ ქვეყანას მოედო. პასუხსაგები მიჯნები დაისახა ბრიგადამ. მან უნდა ააშენოს და წლის განმავლობაში შესასახლებლად ჩააბაროს სამი თორმეტსართულიანი აგურის საცხოვრებელი სახლი, შეამციროს თვითეული შენობის აგების ვადები ორმოცდაათი დღით, თვითღირებულება კი თორმეტ-თხუთმეტი ათასი მანეთით, ყველა ობიექტი საექსპლოატაციოდ გადასცეს კარგი და ჩინებული ხარისხით, პირველი წარდგენისთანავე — რა თქმა უნდა, ამისათვის საჭიროა დიდი და სერიოზული მუშაობა, ნამდვილი შემოქმედებითი ძიება. პირველმა ვალდებულებას ხელი მოაწერა ბრიგადის ხელმძღვანელმა კომუნისტმა ზლობინმა.

კომუნისტი. ჩავუფიქრდეთ, რას ნიშნავს ეს ყოველ შრომით კოლექტივში. კომუნისტები კისრულობენ ყველაზე დაძაბულ ვალდებულებებს, არიან სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში, რომელიც პარტიის მოწოდებით გაიშალა. ლენინგრადის კიროვის ქარხნის მხეხავი ევგენი ლებედევი და დონბასელი მეშახტე ვლადიმერ მურზენკო, მაგნიტოგორსკელი მეფოლადე იური კარტაშოვი და კუსტანაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი ჟანსულთან დემეევი.... ესენი და მრავალი სხვანი შრომითი გმირობის გამომხატველნი, მილიონთა შეჯიბრების მკაფიო ორიენტირები გახდნენ.

ასე იყო ყოველთვის: კომუნისტის ადგილი მოწინავე ხაზზეა. დღეს ეს ხაზი გადის იქ, სადაც მშრომელები მთელ ძალღონეს ახმარენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, სადაც მიმდინარეობს ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, წარმოების ორგანიზაციის ყოველმხრივი სრულყოფისა და რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის. სამშობლოს მივცეთ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია, ნაკლები დანახარჯებით — აი შეჯიბრების მონაწილეთა ლოზუნგი. კომუნისტები პირად მაგალითს უნდა უჩვენებდნენ მისი რეალიზაციისათვის ბრძოლაში.

რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა კიროვის ქარხანას, რათა გაეგო, თუ როგორ არის საქმე ე. ლებედევის ბრიგადაში.

— ჩინებულად, — თქვა პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ მ. გოლოვანოვამ. — ბრიგადა მუშაობს კ-700 ტრაქტორის კბილანების ხეხვაზე და ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ზუსტია მისი შრომის რიტმი. ჩვენი ქარხნის წინაშე ახლა რთული ამოცანები დგას: სოფლის მეურნეობას უნდა მივცეთ მნიშვნელოვნად მეტი ტრაქტორი, ვიდრე გასულ წელს. პარტიელთა მაღალი შეგნებულობა, მათი მუდმივი დაუკმაყოფილებლობა მიღწეულით გვეხმარება მიგვყავდეს კოლექტივი ამ მიჯნებისაკენ.

მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც უზრუნველყვეს, რომ შრომით კოლექტივებს წარმატებით შეესრულებინათ გასული წლის დავალებანი, ახლაც უჩვენებენ ინიციატივის, სიბეჯითის, სიტყვისადმი ერთგულების მაგალითს. ამ დღეებში გამოქვეყნებული მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც მოსკოველებმა და ლენინგრადელებმა იკისრეს 1973 წლისათვის, ხორციელდება. და, როგორც ყოველთვის, მასებს მეთაურობენ კომუნისტები.

ПРАВДА

17 იანვრის მოწინავე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრის მოვალეობა შრომით შეჯიბრებაში გამომდინარეობს პირველი რიგის მოვალეობებიდან, რომლებიც ჩაწერილია პარტიის წესდებაში: იბრძოლოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, იყოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი, აამაღლოს მისი ნაყოფიერება, იყოს ყოველივე ახლის, პროგრესულის წამომწყები. ამ მოთხოვნების შესრულება მუდამ უნდა იყოს თვითეული პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში.

რა თანამდებობაზე და სადაც უნდა მუშაობდეს კომუნისტი, მას განსაკუთრებით მოეკითხება. პარტიულ კრებებზე და პარტკომების, ბიუროების სხდომებზე, პარტიის წევრთა პირადი ანგარიშების განხილვის მსვლელობაში მათს მონაწილეობას შეჯიბრებაში უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს. დაე საუკეთესოთა გამოცდილება ყველას კუთვნილება გახდეს, უფრო ფართოდ განვითარდეს ამხანაგური ურთიერთდახმარება და მხარდაჭერა, დაე, უფრო მწვავე და პრინციპული იყოს კრიტიკა იმათ მიმართ, ვინც იჩენს უგერგილობას, უყაირათობას, უდისციპლინობას.

ახლა მშრომელთა კრებებზე იღებენ ქალაქების, ოლქების, მხარეების, საწარმოების ვალდებულებებს, რომლებსაც განსაზღვრავენ მიმდინარე წლის ძირითადი ამოცანები. საჭიროა თავიდანვე დავამყაროთ მკაცრი და საჯარო კონტროლი ვალდებულებათა შესრულებისადმი, რათა საზოგადოებრიობა იცნობდეს არა მარტო მოწინავეებს, არამედ ჩამორჩენილებსაც, რომლებიც საკმაოდ კეთილსინდისიერად არ მუშაობენ. ზოგიერთი ბევრს ხმაურობს, როცა ვალდებულებებს კისრულობს, მაგრამ ჩუმად არის შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს, თუ ეს შედეგები არც ისე კარგია. ასეთი პოზიცია არ შეეფერება პარტიის წევრს: იგი სიტყვის ერთგული უნდა იყოს.

შეჯიბრებაში კომუნისტის ავანგარდული როლის ამაღლებას ხელი უნდა შეუწყოს მზადებამ პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის. „ჩვენთან, — სწერს რედაქციას ვოროშილოვგრადის ოლქის ჩესნოკოვის სახელობის შახტის მებიგე დ. ჩაბანი, — პარტიის წევრებთან ინდივიდუალური გასაუბრების დროს მეტი ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ ასრულებენ თავიანთ საწარმოო ვალდებულებებს. ეს სწორად მიმაჩნია, რადგან დოკუმენტების გამოცვლის წინ ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა ვნახოთ როგორია კომუნისტის სახე წარმოებაში“.

მაგრამ სხვანაირადაც ხდება. პერმის მანქანათსაშენებლო ქარხნის ხარატი ი. ბალდინი „პრავდისათვის“ გამოგზავნილ წერილში შეშფოთებით ლაპარაკობს იმაზე, რომ საწარმოში „მზადება პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის თითქოს ცალკე მიმდინარეობს, საწარმოო საქმიანობა კი ცალკე. კომუნისტს ძალიან ზუსტად დაუსათაურებია თავისი წერილი: „მთავარი გვერდზე რჩება“. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მთავარია პარტიელთა წამყვანი როლის გაძლიერება ბრძოლაში ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებისათვის.

საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციების მრავალმხრივი საქმიანობა უფრო სრულად უწყობდეს ხელს ამ ამოცანის განხორციელებას, კომუნისტების აქტივობისა და პასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებას. ვაძლიერებთ რა მომთხოვნელობას პარტიის წევრებისადმი, უნდა შევქმნათ პირობები, რათა გაიშალოს მათი ინიციატივა, მხარი დავუჭიროთ საჭირო წინადადებებსა და თაოსნობას.

1973 წელი საქმიანად ითვლის თავის სამუშაო დღეებს. ქარხნებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში — ყველგან ახალი ძალით ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება. კომუნისტთა, მასების ორგანიზატორთა და ხელმძღვანელთა დევიზია ლენინური მოწოდება: აუცილებლად ვიაროთ წინ, აუცილებლად მივაღწიოთ მეტს.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 16 იანვარს კრემლში მიიღო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები პ. მლადენოვი, ო. ვინცერი, ს. ოლშოვსკი, დ. მაკოვესკუ, ი. პეტერი და ბ. ხნოუპეკი, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირთან დაკავშირებით.

ლ. ი. ბრეჟნევსა და მინისტრებს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი საერთაშორისო ასპარეზზე სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, აგრეთვე ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საკითხებზე.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. (საქტასი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამიერკავკასიის რკინიგზის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მაღალი საწარმოო წარმატებებისათვის და შექმნის 100 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს ამიერკავკასიის რკინიგზა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1973 წლის 17 იანვარი.

იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირ-სემინარი

17 იანვარს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა იდეოლოგიურ მუშაკთა ზონალური თათბირ-სემინარი, რომელმაც განიხილა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის მასალების პროპაგანდისა და განმარტების საკითხები.

თათბირ-სემინარს დაესწრნენ პარტიის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნები, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, პოლიტიკური განათლების კაბინეტების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებათა გამგეები, აღმოსავლეთ საქართველოს საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორები, რესპუბლიკის იდეოლოგიური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რესპუბლიკური პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ა. ნ. ჩურკინმა.**

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი: ამხ. **ა. ნ. ჩურკინისა** — „იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები საქართველოს სსრ 1973 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის საქმეში“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორის **ვ. ნ. კოსტეცკისა** — „პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის მასალების შესაბამისად ზნეობრივი და ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესების საქმეში“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორის მოადგილის პროფესორ **ვ. ნ. მირკვილაძისა** — „საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნა და განმტკიცება საქართველოში ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების შედეგია“, „საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის **ვ. ნ. პლასტუნისა** — „საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ზოგიერთი პრობლემა“, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგის დოცენტ **ხ. ა. სიმონგულოვისა** — „ეროვნული საკითხი ბურჟუაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი უბანია“, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკის ინსტიტუტის სექტორის გამგის, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის **ნ. ი. ფომიჩოვისა** — „სკკპ ეკონომიური პოლიტიკის საკითხები“.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული საზეიმო სხდომის მასალების პროპაგანდისა და განმარტების საქმეში იდეოლოგიურ მუშაკთა პრაქტიკულ ამოცანებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ **დ. ვ. გოგოხიამ.**

ანალოგიური თათბირ-სემინარები მოეწყობა აგრეთვე ქუთაისში დასავლეთი საქართველოსათვის, სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში.

გამოიცა რუსეთის დიპლომატიური დოკუმენტები

გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური დოკუმენტების გამომცემელი კომისიის მრავალტომიანი პუბლიკაციის VIII ტომი „რუსეთის XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის საგარეო პოლიტიკა“. ტომსა და მის შენიშვნებში გამოქვეყნებულია 300-მდე წინათ უცნობი დოკუმენტი, 1814 წლის მაისიდან 1815 წლის ნოემბრამდე.

გამოქვეყნებული დოკუმენტები მეტად საინტერესოა დიპლომატებისათვის, მეცნიერი მუშაკებისათვის, მასწავლებლებისათვის, ასპირანტებისათვის, სტუდენტი-ისტორიკოსებისათვის, საერთოდ ყველასათვის, ვინც სწავლობს რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიას. (საქტასი).

შეჯიბრების დროშით

ასახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს გასული წელიწადი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის მშრომელებმა, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. ქარხნის მოწინავე მუშების თაოსნობით გაშლილმა შეჯიბრებამ, რომელიც წარმოების ყველა რგოლს მოიცავდა, კარგი შედეგი გამოიღო. როგორც შეჯიბრების მოწინავე, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის კოლექტივი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო ნიშნით დაჯილდოვდა.

დაიწყო მეცხრე ხუთწლედის მესამე წელი. ჩარხმშენებლებმა ახალი გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს, გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, აითვისონ ახალი კონსტრუქციის 12 ჩარხი და გამოუშვან 10 ზეგეგმითი ჩარხი, დაზოგონ 100 ტონა ლითონი, 600 კილოვატსაათი ელექტროენერგია, 125 ტონა საწვავი.

ამ გაზრდილი ვალდებულებების შესრულებას ენთუზიაზმით შეუდგნენ ჩარხმშენებლები, ბევრი მათგანი დამკვრელური შრომის მაგალითს აჩვენებს, დღიურ დავალებებს ორმაგი გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: მოწინავე მხეხავები (მარცხნიდან) გ. გაბარაევი, ვ. ვოლგინი და ა. კოპილაშვილი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალი კოსმოსური ექსპერიმენტი



16 იანვარს საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-21“, რომელიც რბილად დაჯდა მთვარის ზედაპირზე, მთვარეზე მიიტანა თვითმავალი აპარატი „ლუნოხოდ-2“. იგი განაგრძობს მთვარის ზედაპირის კვლევას, რასაც მანამდე აწარმოებდა აპარატი „ლუნოხოდ-1“. მთვარემავალსა და დასაჯდომ საფეხურზე მოთავსებულია სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი, ვიმპელები ვ. ი. ლენინის ბარელიეფით, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და წარწერით „სსრ კავშირის 50 წლისთავი“.

50 ЛЕТ
СССР
ЯНВАРЬ 1973
ЛУНОХОД-2
50 ЛЕТ СССР
ЛУНА-21
ЯНВАРЬ 1973

„ლუნოხოდ-2“: სტარტი სიკაშკაშის ზღვაში

პატარა დარბაზში, საიდანაც მართავენ სპეციალისტები სადგურ „ლუნა-21“-ის ფრენას, სიჩუმემ დაისადგურა: აპარატი, რომელიც რამდენიმე დღის წინ მთვარის თანამგზავრი გახდა, ორმოცდამეერთეჯერ უვლიდა მთვარეს და მის ზედაპირზე უნდა დაშვებულიყო. სადგურის ელექტრონულ „მეხსიერებაში“ „მაგიური“ ოპერაციების მთელი კასკადის ზუსტი პროგრამაა დახსომებული. ეს ოპერაციები რამდენსამე წუთში უნდა შესრულდეს. დედამიწა ვერ ჩაერევა: ბრძანება წამზე მეტ ხანს აგვიანებს, ამ დროის განმავლობაში კი „ლუნა-21“ თავის ორბიტაზე ორ კილომეტრნახევარზე მეტს გაივლის.

— სადგურის სიმაღლეა 18 კილომეტრი, აცხადებს ოპერატორი.

დავცქერი ელექტრონულ საათს: 1 საათი, 29 წუთი და 30 წამია. ჩაირთო სამუხრუჭო ძრავა. ეს მოხდა ყურეზე გადაფრენისას, რომელიც სიკაშკაშის ზღვასა და სიზმრების ტბას შუა გადის. სადღაც ავტომატური აპარატის კურსის სამხრეთით დარჩა მთვარის ალპები და კავკასია. დაჯდომის გათვალისწინებულ წერტილამდე 240 კილომეტრიღაა გასავლელი.

სიმაღლე სწრაფად მცირდება. ერთი წუთის შემდეგ იგი უკვე 10 კილომეტრია, ხოლო ორი წუთის მერე — 3.200 მეტრი.

ორ კილომეტრზე ოდნავ უფრო მაღლა სამუხრუჭო ძრავა, როგორც პროგრამით იყო გათვალისწინებული, ავტომატურად გამოირთო და „ლუნა-21“-მა დაიწყო თავისუფალი ვარდნა ციური სხეულის ზედაპირზე.

ელექტრონულ ტაბლოზე აინთო კაშკაშა ნეონის ციფრები. გაისმის ოპერატორის დინჯი მოხსენება:

— რბილად დაჯდომის ძრავები ზუსტად პროგრამის შესაბამისად ჩაირთო.

ეს მოხდა 1973 წლის 16 იანვრის 1 საათზე, 34 წუთსა და 03 წამზე. დაშვება გრძელდება. გავიდა კიდევ ერთი წუთი, და თუმცა უკვე ყველასათვის ცხადია, რომ სადგური რბილად შეეხო მთვარის ზედაპირს, აღელვებულმა ხმამ გვაუწყა:

— არის, შეეხო!

— ჩვენ დავეშვით მთვარის სფეროს მეტად საინტერესო რაიონში, — თქვა ჟურნალისტებთან საუბარში მეცნიერმა-სელენოლოგმა, რომელიც ეკიპაჟის შტურმანებს ეხმარება. — „ლუნოხოდ-2“ ლემონიეს უძველეს კრატერშია, რომლის დიამეტრი დაახლოებით 55 კილომეტრს შეადგენს. ახლა ეს სიკაშკაშის ზღვის ყურეა. მეცნიერთა აზრით ეს უძველესი კრატერი სამ მილიარდამდე წლის წინ უნდა წარმოქმნილიყო. მისი ბორცვის დასავლეთი ნაწილი ჩამოქცეულია. სიკაშკაშის ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე და, კერძოდ, კრატერში ლავა, რომელიც ზღვის ზედაპირს ფარავს, შედარებით „ახალგაზრდა“ უნდა იყოს. იგი ალბათ დიდი-დიდი 2.5 მილიარდი წლის წინ ჩამოყალიბდა.

მთვარის შესწავლისა და ათვისების ლოგიკა, განაგრძობს მეცნიერი, „ლუნოხოდ-1“-ის პროგრამის უბრალო გამეორებას როდი მოითხოვს. ახლანდელი ექსპერიმენტი პირველის ორგანული განგრძობაა. მაშინ მისი მუშაობის მიზანი იყო შეესწავლა ტიპიური ზღვის ლანდშაფტი. ახლა „ლუნოხოდ-2“ შედარებით ახალგაზრდა ზღვის უბანშია. მეცნიერთა განკარგულებაში შეიძლება აღმოჩნდეს საინტერესო მასალა, რომელიც არსებითად შეავსებს ჩვენს ყველა წინანდელ მთვარის გამოკვლევას. მართლაც, „ლუნა-16“-მა დედამიწაზე ჩამოიტანა მთვარის გრუნტის სინჯი ზღვის რაიონიდან, „ლუნა-20“-მა მატერიკიდან“. ლუნოხოდ-1“-მა გაიყვანა საზღვაო ტრასა, ხოლო მისმა მემკვიდრემ — „ლუნოხოდ-2“-მა დაიწყო სანაპირო ზონის — მატერიკსა და ზღვას შუა სასაზღვრო რაიონის გამოკვლევა.

კონსტრუქტორმა ჟურნალისტებს გაუზიარა სტარტის შთაბეჭდილებანი. სტარტი, ექსპერიმენტის პროგრამის შესაბამისად, მოეწყო 8 იანვარს 9 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით. დედამიწიდან და ხელოვნური თანამგზავრის ორბიტიდან სტარტებზე საყურადღებო არაფერი გვქონდა. „ლუნა-21“ მთვარის ტრაექტორიაზე ისე ზუსტად გავიდა, რომ მხოლოდ ერთი კორექცია დასჭირდა. ეს კარგი ნიშანი იყო. მაგრამ სწორედ აქ მოგვიტანა თავისი პირველი და, კაცმა რომ თქვას, ერთადერთი სიურპრიზი კოსმოსურმა მოგზაურმა. „ლუნა-21“, რომელიც დედამიწის თანამგზავრია, სტარტის შემდეგ დაახლოებით ერთი საათით სცდება რადიოხილვადობის ზონას. წყნარ ოკეანეში მოდრეიფე მეცნიერების ხომალდებმა იგი „უკვე გააცილეს“, ხოლო მათმა კოლეგებმა ატლანტიკაში ჯერ „ვერ ნახეს“. შორეული კოსმოსური კავშირის ცენტრში მოუთმენლად ელოდნენ ინფორმაციას ატლანტიკის მცურავი სამეთვალყურეო სადგურებიდან. და აი, უცებ ოპერატორმა, რომელიც პირველი გავიდა სადგურთან კავშირზე, გვამცნო, რომ მისი ცალი საბრჯენი — მეორე „თეხი“, როგორც ხუმრობით ამბობენ კონსტრუქტორები, არ გაიხსნა.

ეს მაინცდამაინც შემაშფოთებელი არ იყო, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ დიდად გვესიამოვნა. ნახევარი საათის შემდეგ, როცა ლუნა-21“ კვლავ შორეული კოსმოსური კავშირის ანტენების ხედვის არეში მოხვდა, გაუგებრობის მიზეზი გამოირკვა: შეცდომა მომხდარა კავშირის ხაზზე.

გადაწყვეტილებას იღებენ „გახსნან“ მოძრავი ლაბორატორია და გადაიღონ პირველი ფოტოსატელევიზიო პანორამა.

ახლა ფრენის მართვა გადადის მეორე დარბაზში, სადაც „ლუნოხოდ-2“-ის ეკიპაჟია მოთავსებული.

მძღოლი, რომელსაც მოელის პასუხსაგები ოპერაცია — დაუშვას აპარატი მთვარის ზედაპირზე — საუცხოო პანორამას ხედავს. „ლუნა-21“ ორ პატარა კრატერს შუა სწორ მოედანზე გარინდულა. შეიძლება გაიხსნას სპეციალური ლითონის წამწეები, რომლითაც თვითმავალი აპარატი დასაშვები დანადგარიდან ბაზალტის მოედანზე გადავა.

პანორამაში ჰორიზონტის მკაფიო ხაზს მოულოდნელად ცვლის პატარ-პატარა მწვერვალები — მთვარის მთები — ტავრის მასივი. მეცნიერთა წინასწარი შეფასებით, აპარატიდან ამ მთებამდე ექვს კილომეტრზე მეტი არ უნდა იყოს. წინა პლანზეა რამდენიმე მცირე კრატერი, რაღაც მასიური ლოდი, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა ზომის ნატეხად გამსკდარა, და ოდნავ აბურცული ველი, რომელიც ჰორიზონტამდე გრძელდება.

სლავამ, „ლუნოხოდ-2“-ის მძღოლმა ფრთხილად წაწია წინ მართვის სახელური. ელექტრული ძრავები ამოქმედდა. და აი 1973 წლის 16 იანვარს 4 საათსა და 14 წუთზე მოსკოვის დროით თვითმავალმა ავტომატურმა ობსერვატორიამ დაიწყო მოგზაურობა მთვარის ზედაპირზე.

ნახევარი საათის შემდეგ „ლუნოხოდ-2“-მა დაიწყო გზა და დაშვების ადგილიდან თითქმის 30 მეტრზე გაჩერდა. ეკიპაჟმა ამოარჩია სწორი მოედანი და მანქანა გზისკენ შეაბრუნა. ასეთი მანევრი გათვალისწინებული პროგრამით: საჭიროა შეივსოს ელექტროენერგიის მარაგი: იმ მომენტში, როცა „ლუნა-21“-მა მთვარეს მიაღწია, დაშვების რაიონში, მთვარეზე შუადღე იყო. გავარვარებული უდაბნო მზის კაშკაშა და მცხუნვარე სხივებში გახვეულიყო. სწორედ ახლა უნდა შეივსოს მანქანის ენერგოდანახარჯები. მით უმეტეს, რომ მოკლე ჩრდილი მატყუარაა. გვეგონებათ კრატერი პატარა და არც ისე ღრმაა, მაგრამ სინამდვილეში როგორია იგი? ამის თქმა ძნელია. შუადღისას „ლუნოხოდ-2“, ისე როგორც მისი წინამორბედი, არ იმოძრავებს.

ამიტომ მიღებულია გადაწყვეტილება უახლოეს ორ დღე-ღამეში მოეწყოს მანქანის მინიმალური გადაადგილება...

დ. დმიტრიევი,
საქტასის სპეც. კორ.
შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1973 წლის 15 იანვარს 72 წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, აკადემიკოსი

ივანე გიორგის-ძე პეტროვსკი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ავტომატები იკვლევენ მთვარეს

მეცნიერება, რომელიც სწავლობს მთვარესა და მზის სისტემის პლანეტებს, იკვლევს და ადარებს მათი ზედაპირის მორფოლოგიასა და სტრუქტურას, ციური სხეულების ნივთიერების შედგენილობასა და თვისებებს, ესწრაფვის, შეიმუშაოს მზის სისტემის წარმოშობისა და განვითარების ზოგადი თეორია, გამოიყენოს იგი დედამიწის წარმოშობისა და განვითარების თეორიის აგებისათვის. დედამიწის ევოლუციის თეორიის შექმნისათვის პირდაპირი მონაცემები ჯერ კიდევ საკმარისი არ არის.

დედამიწის განვითარების ისტორიის აღსადგენად კვლევის ყველაზე პერსპექტიული და მოსახერხებელი ობიექტია მთვარე.

კოსმოსური აპარატების საშუალებით მთვარის სისტემატურ შესწავლას დასაბამი მიეცა 1959 წლის 2 იანვარს, როცა „ლუნა-1" საბჭოთა ავტომატური სადგური გაუშვეს მთვარისაკენ. სადგურმა ძალიან ახლოს ჩაუარა მთვარეს. ამავე 1959 წლის სექტემბერში კოსმოსის შესწავლის ისტორიაში პირველად დედამიწის წარგზავნილმა — „ლუნა-2" აპარატმა მიაღწია მთვარის ზედაპირს. ძნელია გადაჭარბებით შეაფასოთ ამ პირველი ფრენის მნიშვნელობა. ზედმიწევნით დახვეწილი სტარტი, ფრენის ტრაექტორიის უაღრესად ზუსტი გაანგარიშება, ყველა საბორტო სისტემის უნაკლო მუშაობა მოწმობდნენ ავტომატური სადგურების საიმედო მუშაობას, დაისახა ფართო პერსპექტივები მთვარის შემდგომი კვლევისათვის. ოქტომბერში ადამიანმა პირველად დაინახა მთვარის უკანა მხარე, რომელიც გადაიღო „ლუნა-3" სადგურმა.

„ლუნას" სერიის ავტომატური სადგურების შემდგომი ფრენის დროს იხვეწებოდა ყველა სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ აპარატების რბილად დაჯდომას. და 1966 წლის 3 თებერვალს „ლუნა-9" ავტომატური სადგური პირველად რბილად დაეშვა დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრის ზედაპირზე ქარიშხალთა ოკეანეში და გადმოსცა მთვარის ზედაპირის რელიეფის გამოსახულება. ამ ექსპერიმენტმა გააბათილა წარმოდგენა თითქოს მთვარის ზედაპირული გარსი მძლავრი მტვრის ფენით ყოფილიყოს დაფარული. „ლუნა-9" სადგურის დაჯდომამ გვიჩვენა აგრეთვე, რომ მთვარის ზედაპირს შეუძლია გაუძლოს დიდი კოსმოსური აპარატების წონას.

მთვარის შემდგომი კვლევის დროს დიდი ყურადღება დაეთმო მთვარის ქანების შედგენილობისა და თვისებების შესწავლას. 1966 წლის მარტში მთვარისირგვლივ ორბიტაზე გავიდა „ლუნა-10" ავტომატური სადგური. მან სადგურზე დადგმული გამასპექტრომეტრის საშუალებით შეაფასა მთვარის ნივთიერების ქიმიური შედგენილობა. მიღებული მონაცემების დამუშავებამ გვიჩვენა, რომ ქიმიური შედგენილობით მთვარის ზედაპირული ქანები ჰგავს დედამიწის ბაზალტის ტიპის ქანებს. მთვარის ზედაპირული ფენის ფიზიკურ თვისებათა კვლევა მოეწყო „ლუნა-13" სადგურზე დადგმული ხელსაწყოების საშუალებით, რომელიც რბილად დაჯდა მთვარის ზედაპირზე 1966 წლის აპრილში.

„ლუნას" სერიის აპარატების სრულყოფის სამუშაოთა შეუწყვეტლად მეცნიერებმა დაიწყეს დედამიწაზე ავტომატური სადგურების დაბრუნების ამოცანათა გადაწყვეტა. 1968 წლის დამლევს საბჭოთა ავტომატურმა „ზონდ-5" და „ზონდ-6" სადგურებმა ზუსტად გაანგარიშებული ფრენის ტრაექტორიებით შემოუფრინეს მთვარეს და მშვიდობით დაბრუნდნენ დედამიწაზე. 1969 წლის აგვისტოში ყაზახეთის ველებზე დაეშვა „ზონდ-7". აპარატებმა დედამიწაზე ჩამოიტანეს ძვირფასი სამეცნიერო ინფორმაცია, მათ შორის მთვარის ზედაპირის ფოტოსურათები.

ექსპერიმენტების ამ სერიის შემდეგ დადგა კოსმოსური სადგურების მთვარის ზედაპირზე დაჯდომისა და დედამიწაზე მათი დაბრუნების უნიფიცირებული პლატფორმის შემუშავების პრობლემა. 1970 წლის დამლევი აღინიშნა ორი უნიკალური ცდით. 1970 წლის სექტემბერში სადგური „ლუნა-16" ნელ-ნელა დაეშვა მთვარის ზედაპირზე სიუხვის ზღვაში, აიღო მთვარის გრუნტის სინჯი და იგი ჩამოიტანა საბჭოთა კავშირის დასახულ რაიონში.

1970 წლის ნოემბერში წვიმების ზღვაში გაგზავნეს ავტომატური თვითმავალი აპარატი „ლუნოხოდ-1", რომელიც მთვარეზე მიიტანა „ლუნა-17" სადგურმა. ეს უნიკალური დანადგარი ათი თვის განმავლობაში იკვლევდა მთვარის გეოლოგიასა და მორფოლოგიას, მთვარის გრუნტის შემადგენლობასა და თვისებებს, აზუსტებდა მთვარის ორბიტის პარამეტრებს და სხვ. გაიარა რა ათ კილომეტრზე მეტი, „ლუნოხოდ-1" შეკრიბა მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი სამეცნიერო ინფორმაცია, რომელიც რადიო და სატელევიზიო კავშირგაბმულობის ხაზებით დედამიწაზე გადმოსცა.

საბჭოთა ავტომატური სადგურებით მთვარის შესწავლაში შემდეგი ეტაპი იყო „ლუნა-20" სადგურის რბილად დაჯდომა მთვარის ძნელად მისასვლელ მთიან, კონტინენტურ რაიონში, აიღო და ჩამოიტანა დედამიწაზე მთვარის გრუნტის ნიმუშები. მსოფლიოს მეცნიერებმა კვლევისათვის პირველად მიიღეს მთვარის კონტინენტის ნივთიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერების მიერ მიღებული მთვარის კვლევის შედეგები, რომელსაც არსებული შეთანხმებების საფუძველზე ერთად აწარმოებდნენ, ხდება ორივე ქვეყნის მკვლევართა კუთვნილება. კერძოდ, როგორც ცნობილია, წარმოებს მთვარის ნივთიერების ნიმუშების გაცვლა, რომლებიც აღებულია საბჭოთა ავტომატური აპარატებით მთვარის სხვადასხვა რაიონში და „აპოლონის" ხომალდებით ამერიკელ ასტრონავტთა ბრწყინვალედ განხორციელებული ექსპედიციების შედეგად.

მიღებული მონაცემები მოიცავენ მთვარის უკვე რამდენიმე რაიონს, როგორც ზღვის, ისე კონტინენტურ რაიონებს. მაგრამ მთვარე ჯერ კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს. უფრო მეტიც, მთვარის კვლევის დროს წამოიჭრება ხოლმე ბევრი ახალი საკითხი, რომელთა გადაწყვეტისათვის საჭიროა ახალი ინფორმაცია, მაშასადამე, ახალი ფრენაც.

ო. როდე,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

(ხაკდესი).

ეს საყურადღებო პრობლემა

რაციონალურად გამოვიყენოთ წიაღისეული

ჩვენს ქვეყანას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში ქვანახშირის, რკინის და მარგანეცის მადნების, სპილენძის, ტყვიის, თუთიისა და სხვა ძვირფასი სასარგებლო წიაღისეულის მარაგის მიხედვით. მაგრამ ეს მარაგი უსაზღვრო, ულევი როდია; მილიონობით, ზოგჯერ ათეულობით და ასეულობით მილიონი წლებია საჭირო, ესა თუ ის საბადო რომ წარმოიშვას, მაშინ როცა ხშირად, ათეული, ზოგჯერ კი ერთეული წლებიც კი საკმარისია იმისათვის, რომ ბოლო მოვუღოთ ბუნების ამ „ნამოღვაწარს". ამიტომ აუცილებლობა მოითხოვს გავუფრთხილდეთ წიაღის სიმდიდრეს, კომპლექსურად, რაციონალურად გამოვიყენოთ იგი, მოპოვებისა და გადამუშავების პროცესში მინიმუმამდე შევამციროთ დანაკარგები.

გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ჭიათურის მარგანეცის საბადოს პეროქსიდულ — მანგანუმის ორჟანგით მდიდარ პიროლუზიტიან მადანზე, რომელიც ერთ-ერთ აუცილებელ ნედლეულს წარმოადგენს ქიმიური მრეწველობისათვის. პეროქსიდული მადანი თავისი მნიშვნელობით, მაღალი ხარისხითა და დეფიციტურობით (ასეთი მადანი საბჭოთა კავშირში სხვაგან არსად არ არის), შეიძლება ითქვას, ჭიათურის მარგანეცის საბადოს ოქროს ფონდია.

გარდა ქიმიური მრეწველობისა, რომელიც ამ მადნის მთავარი მომხმარებელია, მას იყენებენ სახალხო მეურნეობის ისეთ წამყვან დარგებში, როგორიც არის ელექტრო და ელექტროტექნიკური მრეწველობა, ფერადი მეტალურგია, ხელსაწყოთმშენებლობა, მინის წარმოება, მედიცინა და სხვ. ამ მადნის მომხმარებელია ჩვენი ქვეყნის 40-ზე მეტი საწარმო, აგრეთვე საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა.

დღეს მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ტარდება პეროქსიდული მადნის შემცვლელის მიღებისა და წარმოებაში დანერგვისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მიერ უკანასკნელ წლებში შემუშავებულია ღარიბი მადნებიდან სუფთა ელექტროლიტური მანგანუმის წარმოების მეთოდი, რაც დეფიციტური პიროლუზიტიანი მადნის დაზოგვის საშუალებას იძლევა. ამავე ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შემუშავებულია აგრეთვე ღარიბი მადნებიდან ძვირფასი ქიმიური პროდუქტის — მანგანუმის აქტიური ორჟანგის მიღების ტექნოლოგია და სხვ. როგორც ჩანს, ასეთი დიდი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა პეროქსიდულ მადანზე დიდი მოთხოვნილებით არის გამოწვეული და დღის წესრიგში მკაცრად აყენებს ჭიათურის მარგანეცის საბადოს პეროქსიდული მადნის რაციონალური დამუშავებისა და გამოყენების საკითხს.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სისტემაში ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველო ერთადერთი საწარმოა, რომელსაც აქვს პეროქსიდული მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა („პეროფი"). ფაბრიკა ამჟამად პეროქსიდული მადნის ნედლეულს იღებს რგანისა და ზედა რგანის ზეგნებიდან, რომლებზეც პეროქსიდული მადანი საკმაოდ შეზღუდულია, თანდათან ილევა და მისი მოპოვება მხოლოდ ადრე დამუშავებული ველებიდან ხდება. მაგრამ პეროქსიდული მადანი და მისი მარაგი ბალანსით ირიცხება სხვა ზეგნებზეც, რომელთაგან ყველაზე პერსპექტიული მღვიმევის ზეგანია, რომელსაც კალინინის სამმართველო ამუშავებს.

ადრე მღვიმევის ზეგნიდან მიღებული მდიდარი ფანგეული მადანი მაღალი ხარისხის გამო გაუმდიდრებლად ეგზავნებოდა მომხმარებელს. ამ ათი წლის წინათ კი აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა № 29 გამამდიდრებელი ფაბრიკა ჩვეულებრივი ფანგეული მადნის გასამდიდრებლად. ამ ზეგანზე პეროქსიდული მადნის არსებობა სამწუხაროდ, არავის მოჰგონებია და მისი გამდიდრების საკითხიც თავის დროზე არ გაუთვალისწინებიათ. ჯერ კიდევ 1966 წელს ჩვენს მიერ დასმული იყო საკითხი მღვიმევის ზეგნის პეროქსიდული მადნის ცალკე, სელექციური წესით მოპოვებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკისათვის მიწოდების გზების გამონახვის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ აზრს „ჭიათურმარგანეცის" ტრესტის ხელმძღვანელობამ ყურადღება არ მიაქცია. შესაძლოა ვინმე შემოგვედავოს,— ამ საკითხის გადაჭრა დიდ სიძნელესთან არის დაკავშირებულიო, მაგრამ ეს არ იქნება სწორი, რადგან შესაძლებელი გახდა და განხორციელდა კიდეც უფრო შორეული რგანის ზეგნიდან ფაბრიკისათვის პეროქსიდული მადნის ნედლეულის მიწოდება, რამაც ორი საჰაერო, საბაგირო გზის, რამდენიმე ბუნკერის მშენებლობა და ნახევარ კილომეტრზე მეტი სიგრძის კაპიტალური საზიდი გვირაბის გაყვანა მოითხოვა. მღვიმევის ზეგნიდან ამავე ფაბრიკაზე მადნის მოწოდებისათვის კი სავსებით საკმარისი იქნებოდა ერთი საჰაერო საბაგირო გზისა (მღვიმევი — ზედა (რგანი) და ორი ან სამი ბუნკერის აგება.

უკანასკნელი სამ-ოთხი წელია, რაც დაიწყო მღვიმევის ზეგანზე პეროქსიდული მადნის მცირე რაოდენობით განცალკევებულად მოპოვება და გამამდიდრებელი ფაბრიკისათვის მიწოდება პეროქსიდული კონცენტრატის მიღების მიზნით. ფაბრიკაში არსებული გამდიდრების ტექნოლოგიური სქემა, რა თქმა უნდა, არ იძლევა პეროქსიდული ნედლეულის სრულყოფილი გამდიდრების საშუალებას და მაღალი ხარისხის პეროქსიდული კონცენტრატის მიღება შეუძლებელია, მაგრამ ფაბრიკას საშუალება აქვს, დაამზადოს მესამე ხარისხის პეროქსიდული კონცენტრატი და ისიც საკმაოდ დიდი გამოსავლით.

სამწუხაროდ, სინამდვილეში სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: გამამდიდრებელ ფაბრიკაში საშუალოდ დღეღამეში 100-150 ტონა პეროქსიდული ნედლეული შედის, საიდანაც გეგმით მხოლოდ [illegible] ტონა მესამე ხარისხის პეროქსიდი უნდა დამზადდეს, მაგრამ იმის გამო, რომ წინასწარ არ არის დადგენილი და დაგეგმილი პეროქსიდული მადნის გამდიდრების ტექნოლოგიური მაჩვენებლები (გამოსავალი, ხარისხი და სხვ.), ფაბრიკა (უფროსი ი. აბულაძე) ამზადებს პეროქსიდის მხოლოდ გეგმით დაწესებულ რაოდენობას, ხოლო დანარჩენი პეროქსიდული ნედლეულის ხარჯზე ზრდის ჩვეულებრივი ფანგეული მადნის კონცენტრატის რაოდენობას და ხარისხს, მაგალითად, 1971 წელს გამამდიდრებელ ფაბრიკას გაეგზავნა 26.437 ტონა პეროქსიდული ნედლეული სასარგებლო კომპონენტების მაღალი შემცველობით. სულ დამზადდა 2.501 ტონა მესამე ხარისხის პეროქსიდი დღეღამეში დამზადდა ზუსტად გეგმით გათვალისწინებული 9 ტონა. 1971 წელს ფაბრიკას შეეძლო დაემზადებინა სულ ცოტა 7.931 ტონა, ე. ი. სხვაობა 5.430 ტონას შეადგენს, რაც მომხმარებელს გაეგზავნა როგორც ჩვეულებრივი ფანგეული მადნის კონცენტრატი. 1 ტონა 79-პროცენტიანი მესამე ხარისხის პეროქსიდის საბითუმო ფასი 12 მანეთით მეტია ამავე რაოდენობის ფანგეული მადნის პირველი ხარისხის კონცენტრატის ფასზე, ასე რომ, 1971 წელს კალინინის სახელობის მაღაროთა სამმართველომ ფულადი გამოსავლებით (რეალიზაცია, მოგება) 65.160 მანეთი დაკარგა.

დაახლოებით ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი შარშან. მაგალითად, 10 თვეში ამ 33 მი[illegible] ზარალმა შეადგი 28.206 მანეთი, ე. ი. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში პერ [illegible] მადნის ჩვეულებრი ფანგეული მადნის კონცენტრატ გადართვით საწარმომ დაკარ 93.366 მანეთი (პეროქსიდულ და ჩვეულებრივი ფანგეული მა ნის კონცენტრატების საბითუმ ფასებს შორის სხვაობის სახით).

უკანასკნელი 12 წლის განმა ლობაში კალინინის სახელობ მაღაროთა სამმართველოს მი მოპოვებული იყო დაახლოებ ორი მილიონი ტონა პეროქსიდ ლი მადანი, რომლის პეროქსიდ ბის გამამდიდრებელ ფაბრიკაშ გამდიდრებით შეგვეძლო მიგვე დაახლოებით 400 ათასი ტო პეროქსიდული 82-პროცენტია კონცენტრატი (პირველი, მეორ და მესამე ხარისხის პეროქსიდ ბი ერთად). ამ შემთხვევაში პ როქსიდული და ჩვეულებრივ ფანგეული მადნის კონცენტრატ ბის საბითუმო ფასებს შორ სხვაობა შეადგენს დაახლოებ 20 მანეთს, ხოლო ზარალი 8 მ ლიონ მანეთამდე აღწევს.

მაგრამ საქმე მარტო პეროქს დული მადნის ღირებულებას რო დი ეხება. მთავარი მაინც სახალ ხო მეურნეობისათვის მისი დი მნიშვნელობა და ამავე დრო დეფიციტურობაა. ამიტომ ჩვე მიგვაჩნია, რომ მღვიმევის ზე ნის პეროქსიდული მადნის საკ თხი დაუყოვნებლივ დადებით უნდა გადაწყდეს. შესაძლებლო ბის ფარგლებში უნდა მოხდ მისი სრულყოფილი გამდიდრებ № 29 გამამდიდრებელ ფაბრიკა ში ან, წინააღმდეგ შემთხვევაშ გადაწყდეს (რაც ჩვენ უფრო მ ზანშეწონილად და ეფექტიანა მიგვაჩნია) ამ მადნის „პეროფზე მიწოდების საკითხი.

ამ საკითხის დროულად გადაწ რა გააძლიერებს ჭიათური საბადოს არსებობას და დი ხნის განმავლობაში უზრუნველ ყოფს ჩვენი ქვეყნის სახალხო მ ურნეობის მთელი რიგი წამყვან დარგების მოთხოვნილებას მათ თვის აუცილებელი ნედლეული

ქ. გელაშვილი,
„ჭიათურის მარგანეცის" ტრე სტის კალინინის სახელობის მა ღაროთა სამმართველოს მთა ვარი გეოლოგი.

პროფტექნიკურ სასწავლებლებში

გორის რაიონის ხიდისთავის № 5 საშუალო პროფტექნიკურმა სასწავლებელმა თავისი არსებობის განმავლობაში სოფლის მეურნეობისათვის 5 ათასი სპეციალისტი გამოუშვა.

ამჟამად სასწავლებელში 550 მოსწავლე ტრაქტორისტ-მემანქანის, მებულდოზერის, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების მექანიზატორის, ელექტრომონტიორის, სანტექნიკოსისა და სხვა სპეციალობებს ეუფლება.

1972 წლის 1 სექტემბერს სასწავლებელი სამწლიან სწავლებაზე გადავიდა, მოსწავლეები აქ საშუალო განათლების მოწმობასაც იღებენ.

სურათებზე: ზემოთ — ხიდისთავის № 5 სასწავლებლის ინჟინერ-მექანიკოსი ვალიკო მაზმიშვილი ტრაქტორის კაბინეტში მოსწავლეებს ი. საზანდარიშვილს, ა. წიკლაურს და ზ. ხოკერაშვილს დიზელის ძრავის მოწყობილობას უხსნის. ქვემოთ — ზაფხულის პერიოდი, როცა სასწავლებლის საცდელი მეურნეობის მინდვრებზე მოსავლის აღებაზე 5 კომბაინი მუშაობდა.

ვ. დათიკაშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

ვინ არღვევს ვაჭრობის წესებს

რედაქციას უპასუხებს პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი.

მასობრივი რეიდის კრიტიკულ წერილში სათაურით — „ვინ არღვევს ვაჭრობის წესებს", რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა, მხილებული იყო ქალაქ ქუთაისის სავაჭრო ორგანიზაციებში არსებული ნაკლოვანებანი. წერილთან დაკავშირებით პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ბოჭორიძე გვწერს:

გაზეთ „კომუნისტში" მოთავსებულ წერილში — „ვინ არღვევს ვაჭრობის წესებს" მოყვანილი ფაქტები — ქალაქის მშრომელების ბოსტნეულით მომარაგების საქმეში არსებული ნაკლოვანებების შესახებ სინამდვილეს შეეფერება.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიმართ არადამაკმაყოფილებელი კონტროლისა და დაუდევრობისათვის „საქხილბოსტანვაჭრობის" ქუთაისის განყოფილების დირექტორი ა. კაციტაძე გაათავისუფლა თანამდებობიდან.

სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად არასაკმაო ღონისძიებების გატარებისა და დაქვემდებარებული ობიექტების მიმართ სუს ტი კონტროლისათვის „საქ[illegible] ქუთაისის სავაჭრო ბაზის დირექტო გ. ბერულავას გამოეცხადა სასტ საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. სათანადო პარტიული სა სჯელი დაედო სხვა ხელმძღვანელ მ შაკებსაც.

ამასთან აღსანიშნავია, რომ დღემდე ვერ გადაწყდა პარალელიზმ აღკვეთა ქუთაისში სასოფლო-სამე ურნეო პროდუქტებით ვაჭრობის საქ მე ში. ზემდგომი ორგანოების დადგენი ლებით ქუთაისში კარტოფილი ხილითა და ბოსტნეულით საცალ ვაჭრობისა და ამ პროდუქტებით ს ზოგადოებრივი კვებისა და ბავშვ მყოფი ორგანიზაციების მომარაგებ უნდა გადასცემოდა ვაჭრობის სამინ სტროდან „საქხილბოსტანვაჭრობას", მაგრამ ეს დადგენილება არ სრულდება. მეზობელი რაიონების დამზად ბის კანტორები სისტემატურად ვ უზრუნველყოფენ ქალაქის სავაჭრ ობიექტების მომარაგებას სასოფლ სამეურნეო პროდუქტებით.

შეხვედრები ვიეტნამელ მეგობრებთან

საქართველოში მეოთხე დღეა იმყოფება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირთა ფედერაციის კულტურის მუშაკთა ჯგუფი. მათ შორის არიან ამ ფედერაციის კულტურის განყოფილების სექტორის გამგე ფან თხუანი, ქალაქ ჰანოის პროფკავშირის საბჭოს კულტურის განყოფილების გამგე ლე ტი, არქიტექტორი ჰა ვანი. ისინი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით.

ვიეტნამელი ამხანაგები ეცნობიან პროფკავშირთა კულტურულმასობრივი მუშაობის გამოცდილებას. ისინი ეწვივნენ თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პლეხანოვის სახელობის კლუბს, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობას, იყვნენ რესპუბლიკის დედაქალაქში კულტურის პროფკავშირული სასახლის მშენებლობაზე.

16 იანვარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ მეგობრები შეხვდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანს ნ. გ. გურგენიძეს. მან სტუმრებს გააცნო პროფკავშირთა მრავალმხრივი საქმიანობა.

ილაპარაკა რა საქართველოში ყოფნის შთაბეჭდილებებზე, ფან თხუანმა აღნიშნა საქართველოს პროფკავშირთა წვლილი საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების უზრუნველყოფაში. ჩვენი ყურადღება, თქვა მან, განსაკუთრებით მიიპყრო პროფკავშირთა მუშაობამ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

(საქინფორმი).

ვადიდოთ ხუთწლედის გმირები

ეს შეხვედრა დიდხანს ემახსოვრებათ სტუმრებსაც და მასპინძლებსაც, 15 იანვარს სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას ეწვია პოეტთა და პროზაიკოსთა დიდი ჯგუფი საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივნის გ. აბაშიძის მეთაურობით. შეხვედრა მოაწყო საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომმა პარტიის ლენინის რაიკომთან ერთად.

ქართველი მწერლები სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებთან

მწერლები ქალაქის ამ უძველესი საწარმოს მუშებს შეხვდნენ პირდაპირ საამქროებში, ჩარხებთან. გაიმართა გულითადი, გულთბილი საუბარი. მუშებმა ა. ზარდიაშვილმა, ა. მარგველაშვილმა, ა. ტაბატაძემ სიამაყით უამბეს სტუმრებს, რომ წარმატებით ასრულებენ ხუთწლედის დავალებებს, რომ სოციალისტურმა შეჯიბრებამ, შრომის ნაყოფიერებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლამ გამოავლინეს დღევანდელი დღის ნამდვილი გმირები, რომლებიც ღირსნი არიან მხატვრული განსახიერებისა.

სახარატო საამქროში, დგას ჩარხი, რომელზეც 1900 წლის ივნისიდან სექტემბრამდე მუშაობდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მ. ი. კალინინი. ამ ქარხანაში შრომობდა მაშინ უცნობი ჭაბუკი მ. გორკი... ქარხნის უფროსმა ა. მასხარაშვილმა სტუმრებს უჩვენა საწარმოს ახალი მშენებარე კორპუსები, გააცნო მათ ქარხნის განვითარების პერსპექტივები ახალ ხუთწლედში. მიმდინარე წლის მაისში ქარხანას 90 წელი უსრულდება. ამ თარიღისათვის, — თქვა ა. მასხარაშვილმა, — კარგი იქნებოდა შექმნილიყო ჩვენი ქარხნისადმი, მისი ადამიანებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები.

შეხვედრა გაგრძელდა პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში. მუშები გულთბილად შეხვდნენ პოეტებსა და პროზაიკოსებს გ. ნატროშვილს, ჯ. მაღრაძეს, გ. გოგიჩაიშვილს, ე. ფეიგინს, თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დირექტორს, საქართველოს სახალხო არტისტს დ. მჭედლიძეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ჯ. ვეფხვაძემ.

— ღირსშესანიშნავია დღევანდელი დღე, — თქვა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. აბაშიძემ. — საუკეთესო ქართველი მწერლები მოვიდნენ თქვენთან, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენლებთან, რათა უკეთ გაეცნონ თქვენს შრომით საქმეებს. ამ ქარხანას, მის რევოლუციურ ტრადიციებს განსაკუთრებული ადგილი უკავია თვითეული ჩვენგანის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში. თქვენი საწარმოს მუშებს ეძღვნება ბევრი შთაგონებული პოეტური სტრიქონი. მაგრამ ცხოვრება წარმოშობს შრომის ახალ გმირებს, რომლებიც მოელიან ღირსეულ ასახვას ლიტერატურაში. ქართველი მწერლების საპატიო მოვალეობაა უმღერონ ამ ადამიანებს, აღბეჭდონ მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დიადი შრომითი საქმეები.

მწერლებს გულითადად მიესალმა ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა შეკრებილთ გააცნო, თუ როგორ აისახა ქართულ ლიტერატურაში მუშათა კლასის თემა. უნდა განვავითაროთ ეს ტრადიცია, გავამდიდროთ ლიტერატურა ახალი მკაფიო ნაწარმოებებით ჩვენი სახელოვანი წარმოების მუშაკების შესახებ.

შეხვედრაზე გაისმოდა შრომის გმირებისადმი, ხალხთა დიადი ლენინური მეგობრობისადმი, საყვარელი სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები, რომლებიც წაიკითხეს პოეტებმა კ. კალაძემ, რ. მარგიანმა, ჯ. ჩარკვიანმა, მ. ფოცხიშვილმა, ნ. გურეშიძემ, ა. შენგელიამ, ა. სულაკაურმა, ლ. სულაბერიძემ, მ. ლებანიძემ, ი. ნონეშვილმა, ვ. გორგანელმა.

ამაღელვებელი იყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირთა ფედერაციის კულტგანყოფილების სექტორის გამგის ფან თხუანის გამოსვლა, რომელიც ამ დღეებში სტუმრადაა საქართველოში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა ფ. მახარაძემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა მწერლებისა და მუშების მჭიდრო თანამეგობრობის აუცილებლობას, შეხვედრის მონაწილეებს შეახსენა კალინინის გამოსვლა ქარხნის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მიტინგზე 1940 წლის 27 მაისს, ამ გამოსვლაში აღინიშნა საწარმოს სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები. რესპუბლიკის დედაქალაქის კალინინის რაიონის მშრომელთა სახელით ფ. მახარაძემ მუშებს საჩუქრად გადასცა ქართველი მწერლების წიგნები.

საღამოზე გამოვიდა პარტიის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ალავიძე, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა მწერლებს ქარხანაში მოსვლისათვის და უსურვა მათ ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

კონცერტში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი და რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. მუშკუდიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ტ. მალიშევა, თბილისის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელები, ლენინის რაიონის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. (საქინფორმი).

„კომუნისტის" კალენდარი

ამ ასი წლის წინათ, 1873 წლის 15 იანვარს ვოლოგდის გუბერნიის ერთი რუსული სოფლის ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი.

შემდეგში ი. ბაბუშკინი გახდა ერთ-ერთი მოწინავე მუშა-ბოლშევიკი, ვ. ი. ლენინის მოწაფე და უახლოესი თანაშემწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენილი მოღვაწე.

რევოლუციის რაინდი

ი. ვ. ბაბუშკინის დაბადების 100 წლისთავის გამო

ი. ბაბუშკინის სახელი ძვირფასი და მახლობელია ჩვენი კომუნისტური პარტიისათვის, რომელმაც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მოახდინა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, დაარსა საბჭოთა სახელმწიფო, განამტკიცა და ტიტანურ ბრძოლებში დაიცვა იგი.

ჩვენს პარტიაში, არალეგალური რევოლუციური მუშაობის წლებში ი. ბაბუშკინს პატივს სცემდნენ მისი მჩქეფარე ენერგიისათვის, მტკიცე რევოლუციური მოქმედებისა და თავისუფლების საქმისადმი ერთგულებისათვის.

1895 წელს პეტერბურგელი მუშა ი. ბაბუშკინი რევოლუციონერი ამხანაგების ჯგუფთან ერთად მჩქეფარე მუშაობას ეწეოდა ნევის ზასტავის იქით სემიანიკოვის, ალექსანდროვსკის და მინის ქარხნის მუშათა შორის. იგი აარსებდა წრეებს, აწყობდა ბიბლიოთეკებს და თვითონაც დაუღალავად სწავლობდა.

1894 წლის შემოდგომაზე სანკტ-პეტერბურგში გამოვიდა სემიანიკოველი მუშებისადმი მიმართული პირველი სააგიტაციო ფურცელი, რომლის შედგენასა და გავრცელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ი. ბაბუშკინმა. იგი უაღრესად აქტიური წევრი გახდა სანკტ-პეტერბურგში „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირისა", რომელშიც თავდადებით მუშაობდა, ვიდრე დააპატიმრებდნენ.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ საზღვარგარეთ ისეთი პოლიტიკური გაზეთის შექმნის იდეა, რომელიც სამსახურს გაუწევდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებისა და განმტკიცების საქმეს, მასთან ერთად განიხილეს პეტერბურგის მუშაობის დროინდელმა მისმა ძველმა ამხანაგებმა — „ისკრის" დამაარსებლებმა — და ამ იდეას მან უაღრესად მხურვალედ დაუჭირა მხარი.

სანამ ი. ბაბუშკინს დააპატიმრებდნენ, „ისკრას" სულაც არ განუცდია წმინდა მუშური კორესპონდენციების ნაკლებობა. „ისკრის" პირველი ოცი ნომრის ყველა კორესპონდენცია — შუიდან, ივანოვო-ვოზნესენსკიდან, ორეხოვო-ზუევოდან და რუსეთის ცენტრის სხვა ადგილებიდან — გადიოდა ი. ბაბუშკინის ხელში; იგი იყო „ისკრის" შეუდრეკელი კორესპონდენტი, მისი იდეების თავგამოდებული დამცველი და ცდილობდა მჭიდრო კავშირი დაემყარებინა მუშებსა და „ისკრას" შორის.

1901 წლის ბოლოს ი. ბაბუშკინს ერთხელ კიდევ აპატიმრებენ და გზავნიან ალექსანდროვსკის ციხეში, საიდანაც 1902 წლის ზაფხულში გაიქცა სხვა რევოლუციონერებთან ერთად, რისთვისაც გადახერხა ფანჯრის გისოსი. მალე იგი საზღვარგარეთ, ლონდონში ჩავიდა, სადაც შეხვდა ვ. ი. ლენინს (ი. ბაბუშკინი ვ. ი. ლენინს პირადად გაეცნო 1893 წელს). „ისკრის" რედაქცია მაშინ ლონდონში იყო. აქ ვ. ი. ლენინის თხოვნით მან დაწერა თავისი „მოგონებანი" პროფესიულ რევოლუციონერთა იატაკქვეშა საბრძოლო მუშაობიდან. მალე იგი ლონდონიდან ჩავიდა პეტერბურგში როგორც „ისკრის" აგენტი.

1903 წელს ი. ბაბუშკინი ისევ დააპატიმრეს და ხუთი წლით გადაასახლეს ციმბირში. ამის გამო მას საშუალება არ მიეცა დასწრებოდა რსდმპ მეორე ყრილობას. საპყრობილემ და გადასახლებამ ის დიდი ხნით გამოიყვანა მწყობრიდან. რევოლუციის ტალღა რომ ზვირთდებოდა, ამ დროს ი. ბაბუშკინი პარტიულ ცხოვრებას მოწყვეტილი ცხოვრობდა შორეულ ჩრდილოეთში, ვერხოლენსკში.

როგორც ლენინური წრთობის რევოლუციონერი სწავლობდა, ახალი ბრძოლისათვის ამზადებდა თავსაც, მუშებსაც და გადასახლებაში მყოფ ამხანაგებსაც; ის ყოველნაირად ცდილობდა, რომ ისინი შეგნებული სოციალ-დემოკრატები და ბოლშევიკები გაეხადა.

გადასახლებაში ამნისტიამ რომ მოუსწრო, ი. ბაბუშკინი რუსეთისაკენ გაეშურა. ამ დროს ციმბირში მიმდინარეობდა რევოლუციური ბრძოლები, ი. ბაბუშკინი შევიდა ირკუტსკის კომიტეტში, სადაც გააჩაღა რევოლუციური მუშაობა. ის ეწეოდა ბოლშევიკურ აგიტაციას, გამოდიოდა მუშათა კრებებზე, აწყობდა აჯანყებას.

1906 წლის 31 იანვარს რევოლუციის ეს რაინდი ტრაგიკულად დაიღუპა. ეს ასე იყო: მაშინ, როცა ი. ბაბუშკინს ხუთ სხვა ამხანაგთან ერთად ცალკე ვაგონით დიდძალი იარაღი მიჰქონდა ჩიტაში, მატარებელს დაეწია რენენკამპფის სადამსჯელო ექსპედიცია... სახელდახელოდ გაჭრილი საერთო საფლავის პირას იქვსივე დახვრიტეს სრულიად გაუსამართლებლად.

ხუთი წლის შემდეგ, 1910 წლის დეკემბერში „რაბოჩაია გაზეტაში" ვ. ი. ლენინმა დაბეჭდა ნეკროლოგი „ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი", რომელშიც წერდა: „ჩვენ ვცხოვრობთ წყეულ პირობებში, როცა შეიძლება მოხდეს ასეთი რამ: უგზოუკვლოდ იკარგება დიდი პარტიული მუშაკი, პარტიის სიამაყე, ამხანაგი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ერთგულად შესწირა მუშათა საქმეს. მისმა უახლოესმა ადამიანებმაც, როგორიც არიან ცოლი და დედა, უახლოესმა ამხანაგებმაც წლების განმავლობაში არ იციან, რა მოუვიდა მას: სადმე კატორღაში იტანჯება, რომელიმე ციხეში დაიღუპა თუ გმირულად მოკვდა მტერთან შეტაკების დროს. ასე მოუვიდა ივანე ვასილის-ძეს, რომელიც რენენკამპფმა დახვრიტა. მისი სიკვდილის ამბავი ჩვენ მხოლოდ სულ ცოტა ხნის წინათ გავიგეთ... საქმე, რომელსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა, არ მოკვდება... ასეთი ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ, რუსი ხალხი სამუდამოდ დარჩებოდა მონების ხალხად, ყმების ხალხად".

მუშა ბოლშევიკის, რევოლუციის რაინდის ი. ბაბუშკინის ნათელი ხსოვნა უკვდავია საბჭოთა ხალხში.

ხ. ჟურაშვილი.

ჩვენი ახალი ფოსტიდან

● **წყალტუბო.** სოფელ ქვილიშორის კოლმეურნეობის გამგეობამ კარგი ინიციატივა გამოიჩინა, როცა გადაწყვიტა მელაურის ტერიტორიაზე აღადგინოს უხვმოსავლიანი კაკლის ჯიშები, რომლებიც დროთა განმავლობაში გადაშენდა. ახლახან აქ ხუთ ჰექტარზე დაირგო 500 ძირი კაკლის ხე.

დ. მინდაძე.

● **ქუთაისი.** 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგიურმა კოლექტივმა, შეხვედრა მოუწყვეს სალოკომოტივო დეპოს მოწინავე მემანქანეებს კომუნისტური შრომის დამკვრელებს გ. ქასრაშვილს, ო. ოსაძეს, ბ. ბერაიას, ო. მუნაშავრიას.

შეკრებილთ რკინიგზელთა სახელით მადლობა გადაუხადა მემანქანე გ. ქასრაშვილმა.

ქ. ხაზარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ქარცეცხლის დღეთა გახსენება

ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის 30 წლისთავი

ის დაუვიწყარი იანვარი

ადმირალი გ. ტრიბუცი

დიდი სამამულო ომის პირველი პერიოდის ყველაზე ძნელ თვეებში ბალტიელ მეზღვაურებს, ისევე როგორც არმიისა და ფლოტის ყველა მეომარს, მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი, რომ დადგებოდა დღე, როცა საბჭოთა შეიარაღებული ძალები მთელი ფრონტით გადავიდოდნენ შეტევაზე, რომ ჰიტლერელ დამპყრობთ გაანდევნიდნენ მშობლიური მიწა-წყლიდან. ყოველი მათგანი გამარჯვების რწმენით ებმებოდა ბრძოლაში.

ორმოცდაორ წელს ბალტიის ფლოტის ძალები, რომლებსაც ომის წლებში მე ვსარდლობდი, მონაწილეობდნენ ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების ყველა ოპერაციაში.

იწყებოდა 1943 წელი — დიდი სამამულო ომის მეორე პერიოდი. ფლოტის ძალები, განსაკუთრებით მისი არტილერია და ავიაცია, სულ უფრო მეტად უჭერდნენ მხარს ფრონტების ჯარებს და აქტიურად ემზადებოდნენ შეტევითი მოქმედებისათვის.

ვითარება ლენინგრადთან კვლავ რთული იყო. თექვსმეტი თვის განმავლობაში ქალაქის ქუჩებს ცეცხლს უშენდა მტერი. ინგრეოდა საცხოვრებელი სახლები, ისტორიული ძეგლები. შიმშილი და ტყვია იწირავდა ათასობით ლენინგრადელს. მაგრამ ქალაქი ქედუხრელი იდგა, ცხოვრობდა, შრომობდა და ომობდა, თავდაცვიდან შეტევაზე გადადიოდა. მთელი ამ მძიმე თვეების განმავლობაში ურყევად იდგა რუსეთის ძველი ბასტიონი — საზღვაო სიმაგრე „ორეშეკი“, რომელიც შუა ნევაში დგას და მაშინ ორასმეტრიანი ტოტი აშორებდა მტრის მიერ დაკავებულ ქალაქ შლისელბურგს. როგორ არ ცდილობდნენ ფაშისტები გადაელახათ ეს დაბრკოლება და გადასულიყვნენ ნევის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ ვერ შეძლეს: „ორეშეკის“ გმირული გარნიზონი და ბალტიის სამხედრო მეზღვაურები ბატარიის მეთაურის პ. ნ. კოჩანენკოვისა და ბატარიის სამხედრო კომისრის, „ავრორას“ ყოფილი ზემდეგის ა. გ. მოროზოვის მეთაურობით მედგრად იცავდნენ საზღვარს ნევის სათავეებთან.

1942 წლის გვიან შემოდგომაზე დაიწყო პრაქტიკული მზადება ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების, აგრეთვე, წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ძალების შეტევითი ოპერაციისათვის.

ლენინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭომ შუა ნოემბერში აწონ-დაწონა ლენინგრადთან შექმნილი ვითარება და მოამზადა წინადადებანი უახლოეს პერიოდში ფრონტის ჯარების საბრძოლო მოქმედების შესახებ. სამხედრო საბჭოს აზრით, იყო შესაძლებლობა შეეცვალათ ფრონტის ჯარების საერთო ოპერაციული მდგომარეობა — სწორედ მაშინ შეიმუშავეს ორი ფრონტის (ლენინგრადის და ვოლხოვის) შეტევითი ოპერაცია ბალტიის ფლოტის ძალების ხელშეწყობით. მისი მთავარი მიზანი იყო გაერღვია ლენინის ქალაქის ბლოკადა და აღედგინა ნორმალური მიმოსვლა ქვეყანასთან. დაიგეგმა, რომ ჯარების ორ დაჯგუფებას ლენინგრადის ფრონტის არტილერიისა და ავიაციის და ფლოტის გამოყენებით დაერტყა „ჩრდილოეთის „არმიათა დაჯგუფების ფლანგისათვის, გადაელახა გაყინული ნევა და ამავე დროს იერიშზე გადასულიყო ვოლხოვის ფრონტის ჯარების დაჯგუფება.

უმაღლესმა სარდლობამ დაამტკიცა ფრონტების წინადადებანი, განსაზღვრა ოპერაციის მოწყობის ვადები და ჯარების დამკვრელი დაჯგუფებანი. შეტევის წარმატების უზრუნველსაყოფად ორივე ფრონტი გააძლიერეს ჯარების ახალი შენაერთებითა და ნაწილებით, საბრძოლო ტექნიკითა და ტყვია-წამლით.

რამდენიმე თვის განმავლობაში ლენინგრადის ფრონტის ჯარები შეტევის რაიონის მსგავს ადგილას გაძლიერებით ემზადებოდნენ ავიაციის, ტანკებისა და არტილერიის დახმარებით მდინარის გადასალახავად. ფრონტის არტილერია ღამით საცეცხლე პოზიციებს იკავებდა მდინარე ნევის მარჯვენა ნაპირზე. შეტევის დღისათვის იქ თავი მოუყარეს ორი ათასამდე ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს, რაც შეადგენდა 144-მდე ლულას შეტევის ფრონტის კილომეტრზე, რეაქტიული არტილერიის და ფლოტის არტილერიის გარდა.

გათვალისწინებული იყო ლადოგის ტბის სამხრეთით გაერღვიათ ბლოკადა ლენინგრადის ფრონტის ჯარებს, რომლებსაც უნდა გადაელახათ ყინულით დაფარული ნევა, ციცაბო გაყინული ნაპირი და შეხვედროდნენ შეტევაზე გადასულ ვოლხოვის ფრონტის ჯარებს.

მთავარი დარტყმა უნდა მიეყენებინა 67-ე არმიას გენერალ-მაიორ მ. პ. დუხანოვის სარდლობით. არმიაში შედიოდა რამდენიმე მსროლელთა დივიზია, რომელთა ნაწილებში ბევრი იყო ბალტიის სამხედრო მეზღვაური. ლენინგრადის ფრონტის ჯარებს უნდა გაერღვიათ მტრის თავდაცვა ნევის მარცხენა ნაპირზე, გაენადგურებინათ მოწინააღმდეგე შლისელბურგის ციხის დასავლეთ ნაწილში და შეერთებოდნენ ვოლხოვის ფრონტის ჯარებს, აღედგინათ ლენინგრადის კომუნიკაცია ქვეყანასთან.

ფრონტის ჯარების სარდალმა ამ ოპერაციაში ბალტიის ფლოტს დაუსახა ამოცანა: გამოეყენებინა ფლოტის, ავიაციისა და არტილერიის მთელი ძლიერება, რათა 67-ე არმიის ჯარებს გაერღვიათ მოწინააღმდეგის თავდაცვითი საზღვრები და თანაც დახმარებოდნენ მათ შემდგომ შეტევაში.

1943 წლის 12 იანვარს ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე დაიწყო საავიაციო-საარტილერიო შეტევა გარღვევის იმ უბანზე, სადაც მოქმედებდნენ 67-ე არმიის ჯარები. არტილერია ურტყამდა მოწინააღმდეგის ბატარიებს, მართვის პუნქტებსა და რეზერვების განლაგების რაიონებს. ორი საათისა და ოცი წუთის მანძილზე ლენინგრადელი მფრინავები და არტილერისტები ანადგურებდნენ მტრის სიმაგრეებსა და მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას. მოწინააღმდეგის ჯარების განლაგებას დააყარეს ათი ათასობით ნაღმი, ჩამოაგდეს ბევრი ფუგასური ბომბი.

საარტილერიო მომზადების შემდეგ ნევის მარცხენა სანაპიროსაკენ გაეშურნენ ლენინგრადის ფრონტის დივიზიები. მათ წარმატებით გადალახეს ნევა, დაეუფლნენ სიმაგრეთა წინა ხაზს და შეიჭრნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში.

შვიდი დაძაბული დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები ნევის მარცხენა ნაპირზე, ლადოგის ტბის სანაპიროზე, შლისელბურგისა და სინიავინის დაბების რაიონში. უკვდავი გმირობა ჩაიდინეს ამ დღეებში ლენინგრადის, ვოლხოვის ფრონტებისა და ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მეომრებმა.

1943 წლის 18 იანვარს დილით ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა გენერალ ლ. ა. გოვოროვის სარდლობით და ვოლხოვის ფრონტის ჯარებმა გენერალ კ. ა. მერეცკოვის სარდლობით პირნათლად შეასრულეს მათ წინაშე დასახული ამოცანა: ორი მეზობელი ფრონტი ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ძალების მხარდაჭერით შეერთდა. ლენინგრადის ბლოკადა გაირღვა. დაიწყო გარღვევის პლაცდარმის გაფართოება. წითელი არმიის ნაწილების მხარდამხარ მოქმედებდნენ ბალტიის სახომალდო, სარკინიგზო და სანაპირო არტილერისტები, მფრინავები და საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები.

ფლოტის ავიაცია გენერალ მ. ი. სამოხინის სარდლობით ამ ოპერაციაში წყვეტდა უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანებს. ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, დღისითა და ღამით ფრონტის მფრინავებთან ერთად, ბალტიელები, რომლებიც ავლენდნენ მამაცობას, ვაჟკაცობას, სიმტკიცესა და უნარს, ბომბებით, ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მუსრს ავლებდნენ მტრის ცოცხალ ძალას, ანადგურებდნენ მის სიმაგრეებს, რითაც ეხმარებოდნენ ჯარებს ლენინგრადის მიწაწყლიდან მოწინააღმდეგის განდევნაში. ბალტიელი ავიაგამანადგურებელი მფრინავები თავიანთ ფრონტელ ამხანაგებთან ერთად საიმედოდ იცავდნენ ჩვენს ბომბდამშენ და მოიერიშე ავიაციას. ჩვენი ჯარების შეტევის უკვე პირველდღეს მათ უპირატესობა მოიპოვეს ჰაერში და არ აძლევდნენ საშუალებას მტრის ავიაციას დაებომბა მოიერიშე ჯარების საბრძოლო რიგები.

ლენინგრადის ცის დამცველ გმირებს შორის იყვნენ საჰაერო ბრძოლის უკვე ცნობილი ოსტატები მ. ვ. ვასილიევი, ი. ა. კაბეროვი, ვ. თ. გოლუბევი, დ. მ. ტატარენკო, ს. ი. ლვოვი, ე. ტ. ციგანოვი, ი. ი. ცაპოვი, პ. ა. პროსოლოვი და ბევრი სხვა. შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც უკვე იბრძოდნენ ხანკოს ნახევარკუნძულზე, ეზელის კუნძულზე, იცავდნენ ტალინს, ახლა თავდადებით იცავდნენ ლენინის ქალაქს, ეხმარებოდნენ ჩვენს ქვეითს ჯარებს. ესენი იყვნენ საოცრად თავდაბალი ადამიანები. თავიანთ გმირულ საბრძოლო საქმეებს ისინი გმირობად არ თვლიდნენ: ეს იყო მძიმე ყოველდღიური, მხედრული შრომა ერთი მიზნისათვის — მტერზე გამარჯვებისათვის.

მაგონდება, მაშინვე ბლოკადის გარღვევისას გამართული შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ფლოტის ავიაციას შეემატა ახალი მანქანები — „ლა-5“ ავიაგამანადგურებლები, რომლებიც აშენებული იყო გორკის ოლქის კოლმეურნეთა სახსრებით. ახალი თვითმფრინავებით პირველნი ფრინავდნენ მეოთხე გვარდიული ავიაგამანადგურებელი პოლკის მფრინავები. ამ პოლკის ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომელშიც ჩაწერილია: „მივიღეთ რა გორკის ოლქის კოლმეურნეთა საჩუქარი, მეოთხე გვარდიული ავიაგამანადგურებელი პოლკის კომუნისტები ვალდებულებას ვკისრულობთ უმოკლეს ვადაში სრულყოფილად დავეუფლოთ თვითმფრინავებს და მომავალ ბრძოლებში უმოწყალოდ ვმუსროთ ფაშისტები“, პირველი „ლა-5“-ით ჰაერში ავიდა პირველი ავიაესკადრილიის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი მ. ი. ვასილიევი.

გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს მოიერიშე მფრინავებმა. საბჭოთა კავშირის გმირები კაპიტანი ა. ხ. პოტაპოვი, მ. გ. კლიმენკო, უფროსი ლეიტენანტი შჩერბაკი და ათობით სხვა გულადი, მამაცი ბალტიელი ურტყამდნენ მტრის თავდაცვასაც.

ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის დღეებში უაღრესად დიდი ვაჟკაცობა, მამაცობა და გამჭრიახობა გამოიჩინეს წითელფლოტელებმა და ბალტიის ფლოტის მეთაურებმა, რომლებიც იბრძოდნენ ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების ჯარების შემადგენლობაში. ისინი მოიერიშეთა რაზმების პირველ რიგებში უტევდნენ მტერს, გადადიოდნენ ნევაზე.

ლენინგრადის ფრონტის 67-ე არმიის ჯარების მოქმედების მთავარი მიმართულებით უტევდა ხანკოს ნახევარკუნძულის დაცვის გმირის გენერალ ნ. პ. სიმონიაკის 136-ე მსროლელთა დივიზია. დივიზიის შემადგენლობაში შედიოდნენ ხანკოველები და ფლოტის ხომალდებისა და ნაწილების მატროსები. ამ დივიზიამ ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწია ბლოკადის გარღვევის ოპერაციის დროს და ამ გმირობისათვის მიენიჭა გვარდიულის წოდება. შემდეგ 63-ე გვარდიულმა სახელი გაითქვა ბევრ ბრძოლაში.

ორი ფრონტისა და ფლოტის ჯარების ერთობლივი შეტევითი ოპერაცია აღინიშნა იმით, რომ იგი მიმდინარეობდა სტალინგრადში მტრის დაჯგუფების განადგურებისათვის დამამთავრებელი ბრძოლებისა და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სხვა მიმართულებებზე წარმატებების დროს. ეს იყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების საერთო შეტევის ნაწილი. თანამედროვე ომების ისტორიაში პირველად შემუშავდა და განხორციელდა დიდი ქალაქის ბლოკადის გარღვევის გეგმა, რომლის დროს ერთდროულად შემოარტყეს ალყა შიგნიდან და გარედან. დადგა ლენინგრადისათვის ბრძოლაში ძირეული გარდატეხის ხანა.

ლენინის ქალაქის დამცველებმა არა მარტო გაუძლეს ბლოკადას და მოიგერიეს მტრის ყველა ცდა ხელთ ეგდო ქალაქი, არამედ თავი მოუყარეს ძალებს და გადავიდნენ გადამწყვეტ იერიშზე ვოლხოვის ფრონტის ჯარებთან ერთად ბალტიის ფლოტის ძალების მხარდაჭერით. მათ გაარღვიეს მტრის დაცვა.

განხორციელებული ოპერაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ორივე ფრონტისა და ბალტიის ფლოტის ჯარების სტრატეგიული და ოპერატიული მდგომარეობა, გაუმჯობესდა მთელი ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების მდგომარეობაც.

ოპერაციის წარმატებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ქალაქის საერთო მდგომარეობა და მომარაგება, აგრეთვე ნედლეულის მიწოდება მრეწველობისათვის, რომელიც ფრონტსა და ფლოტს ამარაგებდა.

1943 წლის იანვარში ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების ჯარებისა და წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ჯარების ერთობლივმა შეტევითმა ოპერაციამ დაასამარა ფაშისტთა ოცნება ხელთ ეგდოთ ქალაქი. გერმანელ ფაშისტთა მეთვრამეტე არმიისათვის მიყენებული დიდი ზარალის გარდა, ჰიტლერელებმა სერიოზული მორალური და პოლიტიკური მარცხიც განიცადეს. მტრის სარდლობის ყველა ვარაუდი, რომ ბლოკადის მარწუხებში მოახრჩობდნენ ლენინგრადის დამცველებს, ხელთ იგდებდნენ ქალაქს და მოსპობდნენ ბალტიის ფლოტის ხომალდებს, საბოლოოდ ჩაიფუშა. (საკდესი).

გიორგი ჩუბინაშვილი და მიხეილ მამულაშვილი მცხეთაში.

გამორჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

გიორგი ჩუბინაშვილის ხსოვნას

მშობელი ხალხის სახელით

აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია საბჭოთა მეცნიერებისათვის. ჩვენგან წავიდა ღვაწლმოსილი მეცნიერი, რომელმაც მრავალი ათეული წელი შესწირა მშობლიური ქვეყნის უმწიკვლო სამსახურს. გიორგი ჩუბინაშვილი იყო ქართული მეცნიერების სიამაყე და მშვენება.

გიორგი ჩუბინაშვილი მამამთავარია ქართული ხელოვნების ძეგლების მეცნიერული შესწავლისა. მისი ფუნდამენტური გამოკვლევები შეადგენენ მეცნიერების ამ დარგის დედაბოძს.

ჩვენი ხალხის მდიდარი წარსულის ისტორია ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ აღბეჭდილია ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლებში, რომელნიც უხვად მოიპოვება საქართველოს ყველა კუთხეში — მთასა და ბარში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ჩრდილოეთსა და სამხრეთში, რესპუბლიკის ტერიტორიის შიგნით და გარეთ.

ამ მდიდარი მემკვიდრეობის ღრმა მეცნიერული შესწავლის საქმეს შეალია მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე განსვენებულმა მეცნიერმა, ფასდაუდებელია ამ მუშაობის შედეგები.

ქართული მეცნიერების მთლიან ფრონტს ერთ-ერთი დიდი ბოძი გამოეცალა. მაგრამ გიორგი ჩუბინაშვილის საყვარელი საქმე — ქართული ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლა საიმედო ხელშია. მის მიერ აღზრდილი მოწაფეები, რომელთაგან ბევრი უკვე ცნობილი მეცნიერია და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მუშაობს, წარმატებით გააგრძელებენ საყვარელი მასწავლებლის მიერ გაკვალულ გზას. ეს კი ყველაზე საუკეთესო ძეგლი იქნება ამ ამაგდარი დიდი მეცნიერის და სახიქადულო პიროვნების სახელის უკვდავსაყოფად.

ილია ვეკუა,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.



გიორგი ჩუბინაშვილი

მეცნიერების კორიფე

ცოტა ყოფილა საქართველოს ისტორიაში ისეთი მეცნიერი, მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, როგორიც იყო აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი, რომელიც 87 წლის ასაკში გამოეთხოვა მის დაწყებულსა და ბრწყინვალედ განგრძობილ საყვარელ საქმეს — ქართული ხელოვნების საკითხების საფუძვლიან შესწავლასა და გამოქვეყნებას.

მეცნიერებაში ხშირად ყოფილა იმისი მაგალითი, რომ მცდარ შეხედულებას ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის შესახებ დიდხანს ჰქონოდეს გასავალი. ერთი ასეთი მცდარი შეხედულება დიდხანს იყო საქართველოს ხელოვნების რაობის შესახებ, განსაკუთრებით ძველი მკვლევრების ნაწერებში. ქართული ხელოვნების ძეგლებს განიხილავდნენ, როგორც ბიზანტიისა ან სომხეთის გავლენით შექმნილ ძეგლებს, რომელთაც თითქოს თავისი ეროვნული სახე არ გააჩნდათ. საჭირო იყო, რომ ეს მცდარი აზრი, რომელიც საკმაოდ განმტკიცებული და გავრცელებული იყო სპეციალურ ლიტერატურაში, ვისმე გადაესინჯა საფუძვლიანად, გაებათილებინა, სიმართლე აღედგინა და ქართული ხელოვნების დამოუკიდებლობა და თავისთავადობა სათანადო უტყუარი საბუთებით დაემტკიცებინა და დაედგინა. ასეთი საპატიო მისიის შესრულება წილად ხვდა გიორგი ჩუბინაშვილს, რომელმაც თავისი სიცოცხლის საკმაოდ ხანგრძლივ მანძილზე მოიარა სამეცნიერო მიზნით მთელი საქართველოს კუთხეები, რომ თავისი თვალით ენახა, ადგილობრივი უშუალოდ შეესწავლა ძეგლები, არქიტექტურისა იქნებოდა, ფერწერისა თუ მცირე ხელოვნებისა, შეესწავლა თვითეული ძეგლის თავისებურებანი და დაედგინა მათი ადგილი ქართული ხელოვნების ისტორიაში.

დიდი ნიჭისა და შეუნელებელი დაძაბული მუშაობის წყალობით, თანაც დასახული მიზნისაკენ მუდმივი სწრაფვით მან შეძლო დიდი საქმის გაკეთება, საფუძველი ჩაუყარა ქართული ხელოვნების მეცნიერულ შესწავლას, შექმნა ქართული სკოლა ხელოვნებათმცოდნეობის დარგში, დააარსა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორად ის იყო მუდამ, ინსტიტუტთან დააარსა სამეცნიერო ბეჭდვითი ორგანო, აღზარდა მრავალი სპეციალისტი, რომელთაგანაც ზოგი თავის გარშემო შემოიკრიბა ინსტიტუტში.

გ. ჩუბინაშვილი ტიტანია მეცნიერებაში, რომლის კალამს მრავალი ნაშრომი ეკუთვნის, მათ შორის დიდტანიანი გამოკვლევები, სადაც საფუძვლიანად არის გარჩეული ცალკეული ძეგლები, რამაც მას დიდი მეცნიერის სახელი მოუხვეჭა. აღსანიშნავია, რომ კახეთის არქიტექტურა მან მთლიანად შეისწავლა და ორი დიდი ტომი უძღვნა მას.

სპეციალურ ლიტერატურაში მწვავედ დგას საკითხი ამა თუ იმ ერის ძეგლების ეროვნული ხასიათის შესახებ. გ. ჩუბინაშვილმა ამ საკითხს უძღვნა სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც მეცნიერმა გაარჩია სამი ძეგლი, სამივე მეცამეტე საუკუნისა, რომელთაგანაც ერთი იყო საქართველოდან, ერთი ბიზანტიიდან და ერთიც სომხეთიდან.

ამ ცნობილი ძეგლების დეტალური ანალიზისა და შედეგების გზით მან ცხადყო, რომ ქართულ ტაძარს თავისი ეროვნული ხასიათი აქვს, ბიზანტიურს — თავისი და სომხურსაც თავისი.

გ. ჩუბინაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა როგორც ფერწერის, ისე ოქრომჭედლობის საკითხებს. როგორც ცნობილია, საქართველოში ბლომად მოიპოვება ფერწერის ძეგლებიც (ფრესკები, მინიატიურები) და ოქრომჭედლობისაც.

გიორგი ჩუბინაშვილის დიდი დამსახურებაა, რომ მან ამ დარგშიც თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა: მან გამოსცა ორტომიანი გამოკვლევა ქართული ოქრომჭედლობის შესახებ, რომელიც სამაგიდო წიგნია სპეციალისტებისათვის. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მანვე გამოსცა ვეებერთელა ალბომი, რომელშიც ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები ნატურალური ზომით არის მოცემული.

ცალკეული ძეგლების ჩინებული გამოკვლევის გარდა, გ. ჩუბინაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ქართული ხელოვნების ისტორია (I ტომი).

გიორგი ჩუბინაშვილს კარგად ესმოდა, რომ ქართული ხელოვნების ძეგლების თავისებურებანი რომ სათანადოდ წარმოაჩინო და სხვას გააგებინო, კარგად უნდა იყო გარკვეული ჩვენი მეზობლების — სომხების მდიდარი არქიტექტურული ძეგლების რაობაში, რომლებიც ადგილობრივ უნდა გქონდეს შესწავლილი და გამორკვეული, ამ მიზნით იგი ორჯერ იყო სომხეთში, რასაც შედეგად მოჰყვა გამოკვლევა სომხური არქიტექტურის შესახებ.

როგორც ადამიანი, გიორგი ჩუბინაშვილი იყო მშვიდი, უბრალო, ყურადღებიანი, უანგარო და მეცნიერებისათვის თავდადებული, მისთვის დამწვარ-დაფერფლილი. მე ხშირად ვყოფილვარ მასთან ერთად ექსპედიციებში და სამეცნიერო მივლინებაში: ბოლნისში, ნინოწმინდაში, სომხეთში, ატენში, გრემში, შუამთაში და სხვაგან. მე ვეხმარებოდი მას წარწერების ამოკითხვასა და შინაარსის გამორკვევაში.

გ. ჩუბინაშვილი იყო ჩვენი უნივერსიტეტის პირველ თვალსაჩინო პროფესორთაგანი, რომელმაც ქართული მცირე ხელოვნების მრავალ ძეგლს მოუყარა თავი უნივერსიტეტში.

რაც დრო გავა, მით უფრო ნათლად დაინახება ამ დიდი მეცნიერისა და დიდი ადამიანის გმირული სახე და მისი ტიტანური შრომით შექმნილი ბრწყინვალე ფუძემდებლური გამოკვლევების განუზომელი ღირებულება.

აკაკი შანიძე,
აკადემიკოსი.

დაუვიწყარი

აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი იყო ერთი წარმომადგენელი იმ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდებული პლეადისა, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ საბჭოთა მეცნიერებას, თანამედროვე ქართულ კულტურას. მთელი მისი ცხოვრება — ეს იყო უდიდესი შთაგონების, მეცნიერული თავდადების და ერის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ნიმუში.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მისი მოღვაწეობის, მისი მრავალფეროვანი შრომების მნიშვნელობა. სწორედ მან შეკრიბა, შეისწავლა და განაზოგადა ძველი ქართული ხელოვნების შესანიშნავი მემკვიდრეობა, გამოავლინა და დაასაბუთა მისი თავისთავადობა და განვითარების დამოუკიდებელი გზები. მან დაუტოვა მადლიერ შთამომავალთ ქართული ხელოვნების განვითარების ჭეშმარიტი და დასრულებული სურათი. მან იკისრა ყველაზე მძიმე ტვირთი და გაუკაფა გზა ქართული ხელოვნების ყველა მომავალ მკვლევარს. გ. ჩუბინაშვილმა მიზანდასახულად გაიტანა პატარა ერის დიდი ხელოვნება მსოფლიო ასპარეზზე და დაუმკვიდრა მას მისთვის ღირსეული ადგილი საერთო საკაცობრიო საგანძურში.

მთელი მისი ცხოვრება განათებული იყო შინაგანი შთაგონებით, რომელიც ამოძრავებდა მას, მოითხოვდა მისგან გადაეცა ხალხისათვის თავისი ცოდნა, აზრები, შინაგანი წვა. ხელოვნებათმცოდნეთა ჩვენი თაობა იყო მშვიდად, იყო ბედნიერი, რადგან სადღაც ახლოს ცხოვრობდა, არსებობდა დიდი მოძღვარი, ბრძენი ადამიანის კეთილი ღიმილით — გიორგი ჩუბინაშვილი.

ირაკლი ციციშვილი,
საქართველოს სახმშენის თავმჯდომარე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი.

ივანე ჯავახიშვილის უმცროსი მეგობარი

უნივერსიტეტის არსებობის პირველსავე წელს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტმა ერთხმად მოიწვია გიორგი ჩუბინაშვილი ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგედ. შუამდგომლობა თვითონ ივანე ჯავახიშვილმა აღძრა. თავის წარდგინებაში ივანე ჯავახიშვილი აცნობდა ფაკულტეტს ჰალეს უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და თავისუფალ ხელოვნებათა დოქტორს გ. ჩუბინაშვილს, როგორც მომზადებულ და ფრთხილ მკვლევარს და თავისი საქმის ღრმად მოყვარულს. გ. ჩუბინაშვილს „ქართული ხელოვნების ისტორია“ თავის განსაკუთრებული კვლევის საგნად აქვს არჩეული და ამ დარგში მეთოდურად მუშაობს. როგორც ხელოვნების საზოგადო თეორიისა და ისტორიის მცოდნეს, მას ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის შესაფერისი წინასწარი მომზადება აქვს და მისი ნაწერებიც მოწმობენ, რომ ამ ასპარეზზე მას თვალსაჩინო ნაყოფიერებისა და სარგებლობის მოტანა შეუძლიან“.

1918 წელს დაწერილი ივანე ჯავახიშვილის ეს სიტყვები ღრმად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა.

ივანე ჯავახიშვილს უკვე 1913 წლიდან ჰქონდა შემუშავებული გეგმა ქართული ხელოვნების ისტორიის შედგენისა და მომავალ უნივერსიტეტში ქართული ხელოვნების ისტორიის კათედრის დაარსებისა. ამ განზრახვის აღსრულებისათვის სწორედ გ. ჩუბინაშვილი ჰყავდა გამიზნული, რომელსაც ჯერ კიდევ პეტერბურგიდან იცნობდა. ფართო ერუდიცია გ. ჩუბინაშვილს საშუალებას აძლევდა ხელოვნების ზოგადი ისტორიის გამოჩენილი სპეციალისტი ყოფილიყო. გ. ჩუბინაშვილმა სხვა გზა აირჩია. მთელი მისი დიდი ნიჭი და ღრმა ერუდიცია მდიდარი ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლას მიუძღვნა, აიყვანა კიდეც ეს მეცნიერება მსოფლიო მეცნიერების დონეზე. პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილის მუშაობა იმით დაიწყო უნივერსიტეტში, რომ მისი მოსვლისთანავე შესაძლებელი გახდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ცალკე დარგად გამოყოფილიყო ხელოვნების თეორია და ისტორია. ამ კათედრაზე გაიშალა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ხელოვნების ისტორიაში პირველი ქართული მეცნიერული კადრების აღსაზრდელად. სწორედ პროფესორ გ. ჩუბინაშვილის წარდგინებით იქნა დატოვებული პირველი ასპირანტები ხელოვნების ისტორიის დარგში. პროფ. გ. ჩუბინაშვილი იმ ბურჯთაგანი იყო, რომელმაც თავიდანვე დააფუძნა მაღალი აკადემიური დონე ახალ-ფეხადგმულ უნივერსიტეტში. მარტო აკადემიური საქმიანობით როდი იზღუდებოდა გ. ჩუბინაშვილის იმდროინდელი მოღვაწეობა. გ. ჩუბინაშვილის უკვდავ დამსახურებას ქართველი ერის წინაშე მიეკუთვნება მისი სწორუპოვარი ბრძოლა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების გადასარჩენად და კულტურულ-ისტორიულ ფასეულობათა დასაცავად და შესაკრებად.

კულტურულ ფასეულობათა გადარჩენისა და დაცვის წინადადებებს, იგონებს გ. ჩუბინაშვილი, ივანე ჯავახიშვილი იღებდა ყოველგვარი ვრცელი წერილობითი დასაბუთების გარეშე.

გ. ჩუბინაშვილს მთელი მისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე თან სდევდა მოწიწება და პატივისცემა ივანე ჯავახიშვილისადმი — ქართული უნივერსიტეტის ამ მესაძირკვლისა და მეცნიერების სინდისისა.

სერგო ჯორბენაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, პროფესორი.

მამამთავართაგანი

გმირობა, მეცნიერის ნამდვილი შემოქმედებითი გმირობა — მხოლოდ ასე თუ შეიძლება ეწოდოს აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ცხოვრებასა და შემოქმედებას, ვამბობთ ჩვენ, მაგრამ ასეთი უჩვეულო ადამიანების ცხოვრება და შემოქმედება ხომ განუყოფელად ერთიანია. ამიტომაც ასე უსაზღვროდ დიდია ხოლმე მათი ნამოღვაწარი. ისინი, როგორც მამამთავრები, იწყებენ და ხშირად იმოდენა მოცულობისა და მნიშვნელობის საქმეებს აკეთებენ, როგორსაც შემდეგ მთელი ინსტიტუტები ვეღარ ახერხებენ. ასეთ უჩვეულო ადამიანებს ხშირად თითქოს ბუნებაც კი დაალის ხოლმე, ხანგრძლივ სიცოცხლეს აჩუქებს, მათი მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ.

საბედნიეროდ ასე ხანგრძლივი შემოქმედებითი სიცოცხლით იცოცხლა ამ უჩვეულო ადამიანმაც, ქართული ხელოვნების მეცნიერული ისტორიის მამამთავარმა აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა, იმ პირველი ქართული მეცნიერების მამამთავართა წარმომადგენელმა, რომელთაც დიდი ივანე ჯავახიშვილი წარუძღვა ამ ნახევარი საუკუნის წინათ. ამ დიდებულმა ადამიანებმა ბედნიერი შეთანხმებით გაინაწილეს საქართველოში დიდი მეცნიერების თითქმის ყველა დარგის საფუძვლის ჩაყრისა და გაძღოლის საშვილიშვილო საქმე.

ქართული მეცნიერული აზროვნების სახელი და დიდება პირველად იმ უჩვეულო ადამიანების ფრთებით გავიდა მსოფლიოს დიდ სივრცეებში. მათი დიდებული წარმომადგენელი იყო აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი, რომლის დაკარგვა მთელი ქართული საბჭოთა კულტურის ნამდვილად აუნაზღაურებელი დანაკლისია.

ირაკლი აბაშიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ფუძემდებელი

ქართული ხელოვნებათმცოდნეობის, ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარებისა და შემოქმედებითი აღმავლობის, მატერიალური კულტურისა და საერთოდ ქართული ხელოვნების უნიკალური მაღალი მხატვრული თვისებების შესწავლის, გამოვლინების და დამკვიდრების მოამაგე და მამამთავარი იყო და დარჩება საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი გიორგი ჩუბინაშვილი.

გიორგი ჩუბინაშვილმა თავის უმწიკვლოდ განვლილი ცხოვრების გზა, მთელი თავისი ნიჭი, დიდი შემოქმედი მკვლევარისა და მეცნიერის პოტენცია, მოქალაქეობრივი შეგნება, განუზომელი ენერგია და სიყვარული მოახმარა თავისი ერის სულიერი ცხოვრების — ხელოვნების და მატერიალური კულტურის მეცნიერული შესწავლისა და დაფუძნების საქმეს. განსაკუთრებით ქართულ ხუროთმოძღვრებას დაუმკვიდრა თავისი ისტორია, გამოავლინა მისი განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული თვისებები, მისცა ახალი სიცოცხლე და გაუხსნა გზა შემდგომი განვითარებისათვის.

ქართველი ერი დიდის გულისტკივილით და სინანულით ემშვიდობება თვალსაჩინო მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელს.

ივანე ჩხენკელი,
საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე.

უკვდავი მკვლევარი

გიორგი ჩუბინაშვილის მადლიანი მოღვაწეობა მთელი ეპოქაა ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლის დარგში, რომელსაც მან ჩაუყარა საფუძველი სამი მეოთხედი საუკუნის წინათ. გიორგი ჩუბინაშვილმა დააფუძნა ქართული ხელოვნების ისტორია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, და უჩვენა მსოფლიო მეცნიერებას ქართული ხელოვნების თვითმყოფი ეროვნული ხასიათი. ჩუბინაშვილმა დაანახვა ცივილიზებულ სამყაროს, რომ ბოლნისი და ჯვარი, მცხეთის სიონი და ბაგრატის ტაძარი და სხვა დიდებული ძეგლები ქართული ეროვნული გენიის ისეთივე გამოვლინებაა ხელოვნებაში, როგორც რუსთაველის უკვდავი ნაწარმოები — პოეზიაში.

გიორგი ჩუბინაშვილთან ერთად დღეს ჩვენგან წავიდა არა მარტო ქართული და მსოფლიო არქიტექტურის ისტორიის დიდი მკვლევარი-მეცნიერი, არამედ აგრეთვე ნამდვილი რაინდი და ეროვნული გმირი, იშვიათი ერუდიციის და ინტუიციის წყალობით მან შესძლო შეეღწია ძველ ხუროთმოძღვართა საიდუმლოებაში და პასუხი გაეცა კითხვაზე, პოეტს რომ აწუხებდა: „ნეტა ვინ მოჰკარგა, და როცა მოჰკარგა, შიგ მიჰკარგ-მოჰკარგა გზნება — ნიკორწმიდა!“.

გიორგი წერეთელი
აკადემიკოსი.

ერის რჩეული

გიორგი ჩუბინაშვილი იყო ქართული მეცნიერების პატრიარქი, დღევანდელი ქართული მეცნიერების დამფუძნებელთა შესანიშნავი თაობის ერთი დიდი წარმომადგენელთაგანი.

მან დააფუძნა მეცნიერების ახალი დარგი — ქართული ხელოვნების ისტორია, მაგრამ მისი შრომების მნიშვნელობა დიდად სცილდება ქართული ხელოვნების ისტორიის ფარგლებს: ისინი ნათელს ჰფენენ საერთოდ საქართველოს ისტორიის მრავალ მნიშვნელოვან პრობლემას, მათ გვერდს ვერ აუვლის მახლობელი აღმოსავლეთისა და შუა საუკუნეთა ევროპული ხელოვნების ვერც ერთი სერიოზული მკვლევარიც. მისმა შრომებმა საერთაშორისო ავტორიტეტი და მაღალი პრესტიჟი მოუპოვეს ქართულ საბჭოთა მეცნიერებას.

იგი იყო დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან სამეცნიერო კერად იქცა. მან შექმნა ხელოვნების ისტორიკოსთა სკოლა და დიდი ხნით განსაზღვრა ქართული ხელოვნების მეცნიერული კვლევის მომავალი გზები.

ვახტანგ ბერიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი.

მამულიშვილი

წავიდა ჩვენგან აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი — მხცოვანი მეცნიერი, რომელმაც ქართული მეცნიერება აამაღლა, განადიდა და სახელი მოუხვეჭა, რომელსაც 1914 წლიდან დაწყებული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე კალამი ხელიდან არ გაუგდია. მისი საქმენი საჩინონი უკვდავყოფენ მის სახელს.

გ. ჩუბინაშვილი იყო ღრმად ერუდირებული მეცნიერი, რომელიც დაუფლებული იყო არაერთ სამეცნიერო დისციპლინას — ისტორიას, ხელოვნებათმცოდნეობას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას და სხვ.

მის ნაშრომებს ახასიათებს ფართო თვალსაწიერი, ფაქტების სიმდიდრე, ფაქიზი ანალიზი და განზოგადებანი. მისი გამოკვლევები ქართულ ხუროთმოძღვრებისა და ოქრომჭედლობის დარგში სანიმუშო და კლასიკურია. მან შექმნა ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების განვითარების მყარი პერიოდიზაცია და ხუროთმოძღვრული ძეგლების დათარიღების მტკიცე საფუძვლები.

მან საბოლოოდ გააქარწყლა ადრე გაბატონებული შეხედულება, თითქოს ქართული ხუროთმოძღვრება და სახვითი ხელოვნება ეპიგონურია, ბიზანტიურის მიბაძვით არის შექმნილი.

დიდია გ. ჩუბინაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა. ივანე ჯავახიშვილის თანამოსაგრე, მასთან ერთად იღვწოდა მეცნიერული ჭეშმარიტების ძიებისათვის და ჭეშმარიტად ჩინებულ შედეგებს აღწევდა.

გ. ჩუბინაშვილის ნაყოფიერება, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — სასწაულია. ადამიანის ერთი სიცოცხლე დასჭირდებოდა ისეთი მონუმენტური ნაშრომის შექმნას, როგორიც არის გამოცემა-ატლასი „ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა“. რამდენი ასეთი შრომატევადი სამუშაო აქვს შესრულებული მას, რამდენი პრობლემა და საკითხი აქვს დასმული და გადაწყვეტილი, რამდენი მონოგრაფია დაბეჭდილი.

დიდია დამსახურება გ. ჩუბინაშვილისა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა აღზრდაში. მან შექმნა ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სკოლა, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა.

წავიდა ჩვენი ცხოვრებიდან დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი. ამიერიდან ვეღარ ვიხილავთ მის სათნო და სანდომიან სახეს. მსუბუქი იყოს შენთვის სამშობლო მიწა, ძვირფასო და საყვარელო გიორგი!

გიორგი ჩიტაია.

მსოფლიო დღეს

ახალი კოსმოსური წარმატება

ბერლინი. მაშინვე, როგორც კი გამოქვეყნდა საქტაგის ცნობა „ლუნა-21" სადგურის რბილი დაჯდომის შესახებ, რომელმაც მთვარის ზედაპირზე მიიტანა ავტომატური თვითმავალი აპარატი „ლუნოხოდ-2", გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ძირითადმა საშუალებებმა გაავრცელეს ეს ახალი ამბავი.

პარიზი. საფრანგეთის რადიოსადგურებმა და ფრანს პრესის სააგენტომ გადასცეს საწრაფო ცნობები საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი წარმატების — „ლუნა-21" ავტომატური სადგურის მთვარეზე დაჯდომის შესახებ, რომელმაც მთვარის ზედაპირზე მიიტანა „ლუნოხოდ-2".

საფრანგეთის კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა მიშელ ბინიემ, რომელმაც საქტაგის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განმარტა ეს ცნობა, განაცხადა:

„მთელი გულითა და სულით ვულოცავ საბჭოთა მეცნიერებს კიდევ ერთ დიდ წარმატებას კოსმოსის კვლევაში. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ „ლუნოხოდ-2" სადგურზე დადგმულია ფრანგული წარმოების ლაზერული ამრეკლი. წარმატებით ვითარდება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა კოსმოსური სივრცის შესწავლაში. ახალი ექსპერიმენტი, რომლის განხორციელებას შევძლებთ საბჭოთა მეცნიერებთან ერთად, ამგვარი მეორე ექსპერიმენტია".

ფრანს პრესის სააგენტო აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მთვარის ზედაპირზე არის მეორე ფრანგული ამრეკლი". „ეს, — წერს სააგენტო, — მოწმობს, რომ წარმატებით ვითარდება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა კოსმოსის ათვისების დარგში".

ნიუ-იორკი. საქტაგის ცნობა, რომ „ლუნა-21" ავტომატური სადგური წარმატებით დაჯდა მთვარეზე და მთვარის ზედაპირზე მიიტანა ავტომატური თვითმავალი აპარატი „ლუნოხოდ-2", გადასცა ამერიკის ყველა საინფორმაციო სააგენტომ აღნიშვნით „ელვა".

ამერიკელი მეცნიერი მიმომხილველნი აღნიშნავენ ავტომატური სადგურების საშუალებით მთვარის კვლევის საბჭოთა პროგრამის საიმედოობას და იმას, რომ „ლუნოხოდ-2" სადგურმა დაიწყო მთვარის ზედაპირიდან ფოტოინფორმაციის ოპერატიული გადაცემა.

გაზეთები, რადიო და ტელევიზია განსაკუთრებით ხაზს უსვამენ „ლუნას" ტიპის ავტომატური სადგურების საშუალებით კვლევის საერთაშორისო ხასიათს, რომელსაც საბჭოთა კავშირი იწვევა. ისინი იუწყებიან, რომ ამ ექსპერიმენტებში მონაწილეობენ ფრანგი მეცნიერნი და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ უკვე მეორე საბჭოთა „მთვარემავალზე" დადგმულია ფრანგი სპეციალისტების მიერ დამზადებული ლაზერული კუთხოვანი ამრეკლები და წარმატებით გრძელდება საბჭოთა და ფრანგი სპეციალისტების თანამშრომლობა კოსმოსური სივრცის კვლევის დარგში.

დელი. აღნიშვნით „საწრაფო" ინდოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გადასცეს მოსკოვიდან მიღებული ცნობები, რომ საბჭოთა ავტომატური „ლუნა-21" სადგური წარმატებით დაჯდა მთვარეზე და აშუქებენ „ლუნოხოდ-2" აპარატის მუშაობის პირველ საათებს.

განმარტა რა ეს ცნობები, თვალსაჩინო ინდოელმა მეცნიერმა, ეროვნული ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორმა დოქტორმა ა. რ. ვერმამ საქტაგის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ლუნა-21" სადგურის მისიის წარმატება მიგვაჩნია კოსმოსური სივრცის ათვისების დარგში საბჭოთა კავშირის შესანიშნავ მიღწევათა ახალ მკაფიო დადასტურებად".

(საქტაგი. 17 იანვარი).

საბერძნეთის მთავრობის განცხადება

ათენი, 16 იანვარი. (საქტაგი). საბერძნეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა წლეულს უარი თქვას ამერიკის შეერთებული შტატების უსასყიდლო სამხედრო „დახმარების" მიღებაზე.

ინფორმირებული წრეები აღნიშნავენ, რომ ეს გადაწყვეტილება დაკავშირებულია შეერთებულ შტატებში მიმდინარე შინაპოლიტიკურ ბრძოლასთან, სადაც საბერძნეთის სამხედრო რეჟიმისათვის დახმარება იწვევს ძლიერ ოპოზიციას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში.

საბერძნეთის მთავრობის გადაწყვეტილება არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ შეერთებული შტატები შეუწყვეტენ ათენს სამხედრო დახმარებას, რომელიც ახლა წელიწადში 73 მილიონ დოლარს აღწევს. ამ დახმარების დიდ ნაწილს ახლაც აძლევენ, ოღონდ არა უსასყიდლო დოტაციების სახით, არამედ კრედიტების ფორმით, რაც მიმდინარე წელს 58 მილიონ დოლარს შეადგენს. საბერძნეთი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან იღებს თვითმფრინავებს, ტანკებს, რაკეტებს. კერძოდ, 1973 წელს ამერიკის შეერთებული შტატები საბერძნეთს მიაწვდის „ფანტომის" ტიპის 36 ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენს.

თეთრი სახლის გადაწყვეტილების გამო

ნიუ-იორკი. 17 იანვარი. (საქტაგი). ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებამ, რომ შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა მე-17 პარალელის ჩრდილოეთით და მისი ნავსადგურების დანაღმვა, — საერთაშორისო და ამერიკის საზოგადოებრიობისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა სხვადასხვაგვარი რეაქცია გამოიწვია.

ერთის მხრივ, აღნიშნავენ, რომ ეს გარკვეული ნაბიჯია სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე. მეორე მხრივ, იხსენებენ, რომ შეერთებულ შტატებს არაერთგზის გამოუქვეყნებია განცხადებანი დაბომბვის შეწყვეტის შესახებ და განუახლებია იგი თავის შეხედულებისამებრ, რითაც ჩაშლის საფრთხეს უქმნიდა მიმდინარე მოლაპარაკებას.

სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ჯ. სტენისმა თეთრი სახლის გადაწყვეტილებას უწოდა მხოლოდ „პირველი" ნაბიჯი, რომელიც შესაძლოა არ იყოს ახლოს უკანასკნელთან". გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" სარედაქციო სტატიაში წერს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე მოაწერონ ხელი შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ და მოუწოდებს მთავრობას შეასრულოს „დადებული პირობა, რომ გამოიყვანს ამერიკას ამ უმოწყალო და ძვირადღირებული ჭაობიდან".

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტო იუწყება, შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში კმაყოფილება გამოთქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის შეწყვეტის გამო და განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება ასახავს „პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკების შესაძლო პროგრესს".

ბონიდან მიღებული ცნობების თანახმად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული პარტია მიესალმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვისა და მისი ნავსადგურების დანაღმვის შეწყვეტას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ღონისძიებანი წარმოადგენენ ნაბიჯს ვიეტნამში მშვიდობის დამყარების გზაზე და იმედი გამოთქვა, რომ ღონისძიება ომის შეწყვეტის ინტერესებისათვის „წარმატებით დაგვირგვინდება".

ოკუპანტები თვითნებობენ

რომი, 17 იანვარი. (საქტაგი). ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მეირმა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ვატიკანში რომის პაპთან პავლე VI შეხვედრისას განიხილეს იერუსალიმისა და წმიდა ადგილების საკითხი.

მეირმა კვლავ დაადასტურა, რომ თელ-ავივი არ შეცვლის კურსს, რომელსაც ადგას იერუსალიმის მიტაცებული არაბული ნაწილის მიმართ. „იერუსალიმის საკითხში, — თქვა მან, — ახალი არაფერია. ისრაელს არაერთგზის განუცხადებია, თუ როგორია მისი პოზიცია".

როგორც ვიცით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საწინააღმდეგოდ ისრაელის მთავრობა ლამობს იერუსალიმის არაბული ნაწილის ანექსირებას და განაგრძობს მოქმედებას ამ ქალაქის სტატუსის შესაცვლელად.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ისრაელი ხელისუფალნი ანგრევენ არაბთა მთელ უბნებს და აქ ებრაელთა დასახლებებს ქმნიან. მკვიდრ მოსახლეობას სახლებიდან ყრიან. მაგალითად, ოკუპანტებს განზრახული აქვთ იერუსალიმის მიდამოებში შექმნან 13 გასამხედროებული დასახლება. მათი დიდი ნაწილი იქნება რაიონებში, სადაც წინათ არაბები სახლობდნენ.

ისრაელის საბინაო მშენებლობის სამინისტროს განცხადებით, 1975 წლისათვის იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილში გათვალისწინებულია დაასახლონ 65 ათასი ებრაელი.

ისრაელი დამპყრობნი ქალაქში სპობენ არაბულ ისტორიულ ძეგლებს და კულტურულ ღირებულებებს.

მსგავსი მოქმედება არაბი საზოგადოებრიობის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს და ისინიც გადაჭრით მოითხოვენ შესრულდეს საერთაშორისო რეზოლუციები იერუსალიმის თაობაზე.

ნაცისტების სასარგებლოდ

ნიუ-იორკი. 17 იანვარი. (საქტაგი). ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდის სასამართლო ხელისუფლებმა ერთობ არასახარბიელო როლი იკისრეს, როცა გამოექომაგნენ ეგრეთ წოდებული „თეთრკანიანთა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის" წევრ არამზადებს და უფლება მისცეს მათ ატარონ ფაშისტური სვასტიკიანი სამკლაურები.

კლივლენდის მცხოვრებნი დიდად აღაშფოთა იმ გარემოებამ, რომ ქალაქის საბჭოს რამდენიმე წევრმა სხდომებზე ფაშისტური სვასტიკიანი სამკლაურებით დაიწყო სიარული. საბჭოს თავმჯდომარე იძულებული გახდა გამოეტანა გადაწყვეტილება, რომლითაც მრჩევლებს აუკრძალა ოფიციალურ სხდომებზე მოდიოდნენ „სვასტიკით".

მაგრამ ნაცისტებმა მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს გაეუქმებინათ ეს აკრძალვა. საოლქო სასამართლოს მოსამართლემ თომას ლემბროსმა მიიღო გადაწყვეტილება... ნაცისტების სასარგებლოდ.

ფაქტები

● **ძლიერი კოკისპირული წვიმების** შედეგად კენიის დედაქალაქის ქუჩები მთლიანად წყლით დაიტბორა. ნაირობის ქუჩებში მოძრაობა შეწყვეტილია. ქალაქის სამხრეთ გარეუბანში დაიტბორა რამდენიმე სახლი, მთელ რიგ რაიონებში დაზიანდა ელექტრომომარაგების ქსელი, დროებით შეწყდა ადგილობრივი რადიოსა და ტელევიზიის გადაცემები. ესოდენ ძლიერ წვიმას არავინ არ ელოდა, რადგან კენიაში ახლა „მშრალი სეზონია".

● **ყველა ყოველდღიური** და ყოველკვირეული გაზეთი, რომლებიც სომალში უცხოურ ენებზე გამოდის, 21 იანვრიდან გამოვა მხოლოდ სომალურ ენაზე. ეს გადაწყვეტილება მიიღო ინფორმაციისა და ეროვნული ორიენტაციის სამინისტრომ სომალის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს იმ დეკრეტის შესაბამისად, რომლითაც სომალიური ენა ქვეყნის ერთად ერთ ოფიციალურ ენად გამოაცხადა.

● **მოლიპულმა გზებმა** და გადიდებულმა სიჩქარემ არნახული მასშტაბის ავტომობილის კატასტროფები გამოიწვია შვეიცარიის გზატკეცილებზე. მარტო უკანასკნელი დღე-ღამის მანძილზე ბერნ-ციურიხის ავტოტრასაზე მოხდა 26 კატასტროფა, რომელთა შედეგად 78 ავტომანქანა დაიმსხვრა. არიან დაშავებულნი და დახოცილნი.

● **განვლილ ორ წელიწადში** ხანძარმა მექსიკაში მოსპო 140 ათასი ჰექტარი ტყის მასივები. სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა 11.5 მილიონი მექსიკური პესო შეადგინა.

● **გვიან ღამემდე** გრძელდებოდა დასავლეთ გერმანიის მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომა, რომელიც მიეძღვნა კანცლერ ვ. ბრანდტის სამთავრობო განცხადების განხილვას.

ვ. ბრანდტი ამ განცხადებას გააკეთებს 18 იანვარს ბუნდესტაგის სხდომაზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის — თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მთავრობის კოალიციის სახელით.

● **მეცნიერ-სოციოლოგები** ვოლფგანგ კაუპენი და ჰაიდრონ კაუპენ-ჰაასი არ დაუშვეს კიოლნის უნივერსიტეტში სამასწავლებლო საქმიანობაზე. დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ ეს აქტი მიიჩნია იმის ახალ დადასტურებად, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კვლავ დევნიან პირებს, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი დემოკრატიული შეხედულებებით და სურთ იმასწავლებლონ სკოლებში ან უმაღლეს სასწავლებლებში. როგორც დასავლეთგერმანელ ანტიფაშისტთა გაზეთი „დი ტატი" აღნიშნავს, გადაწყვეტილება ცოლქმარ კაუპენების თაობაზე ასევე „აშკარად პოლიტიკური მიზეზების" გამო მიიღეს.

თვითმოქმედ მსახიობთა წარმატება

გურჯაანის სახალხო თეატრის სპექტაკლი — რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი

რესპუბლიკის თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გურჯაანის სახალხო თეატრს. ამ თეატრის ყოველი სპექტაკლი მთელი კოლექტივის ხანგრძლივი და გააზრებული შემოქმედებითი მუშაობის შედეგად იქმნება. კოლექტივის მიერ რეპერტუარის შერჩევა ყოველთვის ხდება რაიონის მშრომელთა ინტერესების, მათი ყოფისა და შრომის სპეციფიკის გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ არის, რომ თეატრის ყოველი ახალი სპექტაკლი მუდამ ახლოს მიდის მაყურებელთან და გარკვეულ ესთეტიკურ თუ შემეცნებით რეაქციას იწვევს მასში.

გურჯაანის სახალხო თეატრისათვის დამახასიათებელი ამ შემოქმედებითი ტენდენციის ნათელი დადასტურება იყო მისი ახალი სპექტაკლი „დედას ბიჭები" (ავტორები ა. თაბორიძე და ვ. მაზმიშვილი). პიესის სიუჟეტი, რომელიც აღსავსეა კომედიური სიტუაციებით, იშლება და ვითარდება აღმოსავლეთ საქართველოს თანამედროვე სოფლის ცხოვრების ფონზე. სპექტაკლი შრომის სიკეთის, შრომისადმი კაცური დამოკიდებულების და უანგარო სიყვარულის ამაღლებულ გრძნობებს ამკვიდრებს მაყურებლებში.

აღნიშნულმა სპექტაკლმა დამსახურებული წარმატება მოუტანა გურჯაანის სახალხო თეატრს. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო თეატრების რესპუბლიკური დათვალიერება-ფესტივალის ჟიურიმ მას ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება მიანიჭა. ლაურეატის წოდება მიენიჭათ და დაჯილდოებულ იქნენ ლაურეატის დიპლომებით მსახიობები: თ. გიგაური, ნ. ძიძილაშვილი, ვ. ბერიძე, ჯულიეტა და ჯილდა კურბანოვები, ზ. გოგლიძე, ე. ბაკაშვილი, ნ. ჯაფარიძე, მ. გოგიაშვილი, სპექტაკლის დამდგმელი და მსახიობი გ. გორხელაშვილი და მხატვარი მ. უტიაშვილი.

გურჯაანის სახალხო თეატრის ეს წარმატება ერთხელ კიდევ განამტკიცებს აზრს მისი დიდი შემოქმედებითი უნარის და მაღალი საშემსრულებლო შესაძლებლობათა შესახებ.

თამაზ ფერაძე.

შევისწავლოთ ჩვენი მხარე

ლეგენდა და სინამდვილე

მოგზაურობა ენგურჰესის მშენებლობის მიდამოებში

ენგურჰესის მშენებარე მაღლივი თაღოვანი კაშხალი ჩვენი დროის ერთ-ერთი საოცრებაა და, ბუნებრივია, მის დასათვალიერებლად დაბა ჯვარში დიდძალი ხალხი ჩამოდის.

თვით მშენებლებს კი, ვისაც სურვილი აქვს და მუხლი ერჩის, ცოტა როდი აქვთ დასათვალიერებელი — ირგვლივ აღმართული მთები ხომ ბევრ სილამაზესა და საიდუმლოებას ინახავენ.

ერთ-ერთი ასეთთაგანია ყვირას მთა (2.035 მ.), რომელიც ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს გადმოჰყურებს. ლეგენდის მიხედვით ყვირა კეთილი არამხუტუს ასპარეზი იყო. როცა ქვეყანაზე მშვიდობა სუფევდა და მშრომელ ხალხს არავინ ერჩოდა, კოლხთა დევგმირი ყვირაზე ადიოდა და „ხელბურთს" თამაშობდა: უზარმაზარ ქვას ისროდა ენგურს გაღმა ოხაჩქუეს მთაზე (2.156 მ.) მდგომი მეგობრისაკენ, რომელიც აგრეთვე გოლიათი იყო. იგი ქვაბურთს ჰაერში იჭერდა და უკან უბრუნებდა არამხუტუს.

ამბობენ, აზარტში შესული რომელიმე დევგმირი ქვაბურთს ზოგჯერ ისე ელვისებურად სტყორცნიდა, რომ მოპირდაპირე დაჭერას ვერც კი ასწრებდა და ლოდი დედამიწას ეცემოდა.

თითქოს ასე გაჩნდა ყვირას და ოხაჩქუეს მთაზე აურაცხელი კონუსური ფორმის ძაბრი, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი — ალგდებს, ხოლო მეცნიერები — კარსტულ ქვაბულებს უწოდებენ.

რაც შეეხება დევგმირთა სათამაშო ქვაბურთს, ის ქუაქანცალიაა (ქვაქანქარა), რომელიც დღესაც დევს ყვირას მთის კორტოხზე და მნახველთა გაკვირვებას იწვევს.

საკმარისია იმ ლოდის რომელიმე წახნაგს თითით მიაწვეთ, რომ ეს ათეულტონიანი გიგანტი მაშინვე ამოძრავდება — დაიწყებს რხევას რამდენიმე სანტიმეტრის ამპლიტუდით და თან ყრუ კაკუნს გამოსცემს.

საიდუმლო მარტივია: ის უზარმაზარი ლოდი სამ წერტილზეა დაყრდნობილი ისე, რომ ერთი წერტილთაგანი ზუსტად მისი სიმძიმის ცენტრის ქვეშაა, ხოლო დანარჩენი ორი სიმეტრიულად განლაგებულია პირველის მიმართ.

ასეა თუ ისე, ამ ლეგენდამ, მოქანავე ლოდმა და ალგდებმა მეცნიერები დიდად დააინტერესა. ყვირას და ოხაჩქუეს მასივებს სხვადასხვა დროს პროფესორ ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით სწავლობდა კომპლექსური ექსპედიცია, რომელმაც საინტერესო მონაპოვრებით გაამდიდრა გეოგრაფია და ბოტანიკა.

კერძოდ, 1960 წელს ყვირაზე აღმოაჩინეს ორი დიდი მღვიმე, რომელთაგან ერთს (სიღრმე 50 მეტრი) ეწოდა ამ მასივის პირველი მკვლევარის, შესანიშნავი რუსი ბოტანიკოსის ნიკოლოზ ალბოვის სახელი, ხოლო მეორეს (სიღრმე 77 მეტრი) — საქართველოს ისტორიული გმირის ცოტნე დადიანისა. უნდა აღინიშნოს, რომ ყვირას მასივში წყარო მხოლოდ ამ უკანასკნელი მღვიმის მთავარ შტოშია, სადაც ჩასასვლელად მწყემსებს ხის კიბე აქვთ ჩაყუდებული.

ყვირას ძველ ღირსშესანიშნაობებს და ახალ აღმოჩენილ კარსტულ სისტემას აღტაცებაში მოჰყავს მნახველები, ენგურჰესის მშენებლები და მათი შვილები, რომლებსაც ჩვეულებრივ მეგზურობენ დაბა ჯვარში შემავალი სოფლის — ჩქვალერის მცხოვრებლები, ამ მთის მოამაგენი ნიკოლოზ, ლუდა და დავით ფიფიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარიდან ყვირამდე რამდენიმე საათის სავალია. სამანქანო გზა ანკარა მდინარე მოროჟას მარჯვენა ნაპირს მიჰყვება და თითქმის ზედ მთაზე ადის. მთიდან მომხიბლავი პანორამა იშლება — ჩრდილოეთით ეგრისის დაბილული ქედია, სამხრეთით ზღვის ნაირფერი ზოლი, მარცხნივ ხელისგაწვდენაზეა ჭანის წყალი და კურორტი სკური, მარჯვნივ მდინარე მაგანა და ნაკრძალი წყავაში...

დაბრუნება უკეთესია ტყეში მიმავალი ბილიკით, რომელიც ჩანჩქერადქმნილ მდინარე ოხურასთან ერთად ჩქვალერისკენ ეშვება.

გვანჯი მანია.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ასეთია ქვაქანქარა; მარჯვნივ — ცოტნე დადიანის მღვიმის შესასვლელი.

ავტორის ფოტო.

პატარა ფეხბურთი დიდ სასახლეში

თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო რიგით მეექვსე შეჯიბრებამ მინი-ფეხბურთში სპეციალიზირებულ სკოლებს შორის სასახლისა და თბილისის სპორტკომიტეტების პრიზებზე.

ამ საინტერესო ასპარეზობაში მონაწილეობს მოზარდთა 7 კოლექტივი: განათლების განყოფილება (გამოჰყავს 4 გუნდი), ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა (2 გუნდი), საქართველოს სპორტკომიტეტთან არსებული ბავშვ ფეხბურთელთა სკოლა — „ავაზა" (2 გუნდი), „დინამო", „ლოკომოტივი", „განთიადი" და გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატი. თვითეულ მათგანს ორი გუნდი გამოჰყავს.

როგორც გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ანთაძემ, შეჯიბრება ტარდება წრიული სისტემით ორ ასაკობრივ ჯგუფში (უფროსები — 1959-60 წ. წ. დაბადებულნი და უმცროსები — 1961-62 წ.წ.). თამაშები დაიწყება დღის 1.30 საათზე, ხოლო უკანასკნელი დღის — 21 იანვრის ფინალური ასპარეზობა დანიშნულია დილის 10 საათიდან.

ვეტერანის ნათქვამს დავუმატებთ კიდევ იმას, რომ თვითეულ გუნდში 6 ფეხბურთელი გამოდის, ხოლო მატჩები ორი 20-წუთიანი ტაიმისაგან შედგება.

გუშინ გაიმართა პირველი ტურის ექვსი შეხვედრა. ასპარეზზე პირველნი გამოვიდნენ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ბავშვთა სკოლის გუნდი — „ავაზა — 2" და გლდანის სკოლა-ინტერნატის „ლიახვი — 2". ანგარიშით 6:0 გაიმარჯვა „ავაზამ". აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულთაგან ოთხი ბურთის ავტორი იყო ნორჩი ფეხბურთელი მიხეილ მესხი (№ 11) — სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. მესხის 11 წლის ვაჟი.

ასეთივე შედეგით 6:0 გლდანის „ლიახვის" პირველმა გუნდმა დაამარცხა სპორტსაზოგადოება „განთიადის" გუნდი „ისანი". ლიახველთა შორის კარგი თამაშით გამოირჩეოდა მეკარე როლანდ გელენავა.

თბილისის განათლების განყოფილების „ნაკადულის" ფეხბურთელებმაც 6 ბურთი გაიტანეს „ვარძიის" (სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივი") კარში, თავისაში კი მიიღეს ერთი.

ამ დღეს „ავაზას" პირველი გუნდი (1959-60 წ.წ. დაბადებულები) ხვდებოდა „ვარძიის" პირველ გუნდს. მატჩის შედეგია 2:1 „ავაზას" სასარგებლოდ.

საინტერესო იყო აგრეთვე „დინამოსა" და „განთიადის" მეორე გუნდების შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ფრედ — 2:2.

ბოლოს ასპარეზზე გამოვიდნენ „ივერია" (ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა) და „მერცხალი" (განათლების განყოფილების პირველი გუნდი. 4:0 — გაიმარჯვა „მერცხალმა".

აი რა გვითხრა თბილისის „დინამოს" კაპიტანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მურთაზ ხურცილავამ, რომელიც გუშინ თამაშებს ესწრებოდა სპორტის სასახლეში: — ძალზე კარგი ღონისძიებაა, საჭიროა მხოლოდ რაც შეიძლება ხშირად გავმართოთ ბავშვთა ტურნირები. ვფიქრობ, რომ მინი-ფეხბურთი უფროსებსაც გამოადგებოდა. ამასთან მაყურებელიც დიდად კმაყოფილი დარჩება.

ო. ოთარაშვილი.

დაფებთან გოგონები

დამთავრდა თბილისის პირველობა გოგონათა შორის ჭადრაკში. შედეგით — 12 ქულით 13 შესაძლებლიდან პირველ ადგილზე გამოვიდა 54-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ქეთევან გიგიძე (მწვრთნელი — ოსტატი ა. ბუსლაევი), 8.5 ქულით მეორე ადგილზეა მ. ხანთაძე (60-ე სკოლის მეცხრეკლასელი. მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი გ. მაჭავარიანი). მესამეზე — 7,5 ქულით მ. მამისთვალოვა (10-ე სკოლის მეცხრეკლასელი, მწვრთნელი — ვ. ხიზანიშვილი).

მეთერთმეტე გამარჯვება

სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატში ზედიზედ მეთერთმეტე მატჩი მოიგეს კაუნასის „ჟალგირისის" კალათბურთელებმა, რომლებმაც უკანასკნელ ტურში ანგარიშით 76:64 დაამარცხეს კიევის „სტროიტელი".

თბილისის „დინამოსა" და მინსკის რადიოტექნიკური ინსტიტუტის გუნდების შეხვედრის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 68:68 (35:37). დამატებით ხუთ წუთში წარმატების მინსკელებმა მიაღწიეს — 76:74.

თბილისელები — ფინალში

ვორონეჟში გაიმართა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრების ზონალური ტურნირი სპორტსკოლებს შორის.

ქართველმა სპორტსმენებმა დაამარცხეს მოსკოველები (3:1), ლენინგრადელები (3:2), უზბეკეთისა და რუსეთის ფედერაციის გუნდები (ერთნაირი ანგარიშით (3:0) და დამარცხდნენ (0:3) უკრაინელებთან.

ამრიგად, თბილისელმა ჭაბუკებმა თავიანთ ზონაში პირველი ადგილი დაისაკუთრეს და ფინალში (იგი გაიმართება სევასტოპოლში) გავიდნენ.

თოვლი თბილისში.

ც. მაყაშვილის ნახატი.

მზე და თოვლი

ამინდი

გუშინ თბილისში მზიანი ამინდი იდგა. ცა მოიწმინდა, თოვლმა დნობა იწყო, 12 საათისათვის ჩვენს დედაქალაქში აღინიშნა 2 გრადუსი სითბო.

ასევე მოწმენდილი და მზიანი ამინდი იყო საქართველოს მეტ წილ რაიონებში. დღის 12 საათისათვის თოვდა მხოლოდ სამხრეთ რაიონებსა და მთაში. აღმოსავლეთ საქართველოში ამავე დროისათვის თოვდა ხაშურში, გორში, ბორჯომში, ბაკურიანში. კახეთის რაიონებში ცა მოიწმინდა, მზემ გამოიხედა.

ტემპერატურა 12 საათისათვის გაგრაში იყო 6 გრადუსი სითბო, გუდაუთაში, ოჩამჩირეში, ფოთში — 5, ზუგდიდში, ცხაკაიაში, ანასეულში — 3, ქუთაისში — 1 გრადუსი სითბო, ხაშურში აღინიშნა 1 გრადუსი ყინვა, გორში პლუს 1 გრადუსი, მუხრანში ნული გრადუსი, ბოლნისში — 3 გრადუსი სითბო.

დღეს, 18 იანვარს, დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უნალექო ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში 1-5 გრადუსი სითბო, მთაში 2-6 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება უნალექო ამინდი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 2 გრადუსი სითბო-4 გრადუსი ყინვა, მთაში — 8-12 გრადუსი ყინვა.

თბილისში იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, იქროლებს სუსტი ქარი, ტემპერატურა 1-3 გრადუსი სითბო.

ტელევიზია

18 იანვარი

პირველი პროგრამით

11.00 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (მეცხრეკლასელთათვის, ელექტრონული კანონები. სხივური ელექტრომილაკი), 11.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი — „ჩინებული ჭაბუკი", 12.45 — კინონარკვევი — „ველურ ირმებზე და მწყემსებზე", 13.00 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (მეცხრეკლასელთათვის. ელექტრონული კანონები. სხივური ელექტრომილაკი) განმეორებით, 16.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.20 — ახალი ამბები. 17.25 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში. 18.10 — განცხადებები. 18.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მუშათა შეკვეთა" (ქართულ ენაზე), 18.35 — ხვალ რადიოთი, 18.40 — „გავუფრთხილდეთ ბუნების საუნჯეს", 19.10 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.40 — „როგორ ვემსახურებიან", 20.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ციკლიდან „ქართველი კომპოზიტორები" — ს. ნასიძე, 21.30 — „იმ დღეთა მოსაგონებლად", 21.50 — კინოჟურნალი — „უცხოეთის კინოქრონიკა". 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „აბა, თქვენ იცით, გოგონებო!" — (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

17.05 — მასწავლებლის საათი. ქიმია (ამოცანების ამოხსნის მეთოდიკა. ამოცანები ფუნქციურ დამოკიდებულებაზე). 17.50 — კინონარკვევი — „დღეში სამი მადლობა". 18.35 — განცხადებები. 18.40 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — მასალათა გამძლეობაში. 19.40 — პოლიტიკურ ეკონომიაში, 20.40 — კინონარკვევი — „მალაქიტის კოლოფის საიდუმლოება". 21.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თქვენ გიხმობთ ტაიმირი".

19 იანვარი

პირველი პროგრამით

11.00 — სკოლების დასახმარებლად — ზოგადი ბიოლოგია, 11.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ზღვის შვილები", 13.00 — სკოლების დასახმარებლად ზოგადი ბიოლოგია (განმეორებით), 16.30 — გადაცემათა პროგრამა. 16.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 17.20 — ახალი ამბები. 17.25 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კინოპროგრამა, 18.55 — „ეთერშია ახალგაზრდობა", 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — „სოციალიზმის სამყარო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.10 — „კანონიერების სადარაჯოზე", 20.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა", 21.10 — პუჩინის ოპერა „ჩიო-ჩიო-სანი". სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მოსკოვის მუსიკალური თეატრის სპექტაკლი. (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — პუჩინის ოპერა — „ჩიო-ჩიო-სანი" გაგრძელება. (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო ფილმი, 19.05 — განცხადებები, 19.10 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 21.10 — სკკპ ისტორიაში, 22.10 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მაიორი ვიხრი" (I სერია).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

18 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **დონ-კიხოტი,** რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ანტიგონე,** რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — **სამანიშვილის დედინაცვალი;** მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **დღის წესრიგშია ერთი საკითხი;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სიმღერა ტყეში.**

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34. სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 08222

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.